საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

2022 წელი

წინასიტყვაობა

2022 წელს, რეგიონში შექმნილი ურთულესი ვითარებისა და უსაფრთხოების ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ეროვნული ინტერესების დაცვა კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში უწევდა.

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წარმოებული ომი დამატებით მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნიდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და ტერიტორიულ მთლიანობას, ზრდიდა ზეწოლას ეკონომიკასა და სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

ანგარიშში წარმოგიდგენთ 2022 წელს საქართველოსა და მის გარშემო განვითარებული უსაფრთხოების პროცესების, ასევე ქვეყნის წინაშე გამოკვეთილი საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და საქმიანობის მიმოხილვას.

საქართველოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხედ კვლავ რჩებოდა რუსული ოკუპაცია და ქვეყნის ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ განთავსებული რუსეთის სამხედრო კონტინგენტი. 2022 წელს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ანექსიური პროცესები.

არსებით გამოწვევას წარმოადგენდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობა. ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მცდელობები. ამასთან, აქტიური დეზინფორმაციული კამპანიები მიმართული იყო უშუალოდ უსაფრთხოების გარემოს დაზიანებისკენ.

კვლავ აქტუალური იყო საერთაშორისო ტერორიზმიდან და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეები. ტერორიზმის მიმართულებით მსოფლიოში არსებული რთული ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად ქვეყანაში ტერორისტული აქტივობები მინიმუმამდე შემცირდა.

გეოპოლიტიკური კრიზისისა და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების გარემოში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უზრუნველყო უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეული დესტრუქციული ძალებისგან მრავალი მიმართულებით მომდინარე უსაფრთხოების რისკების ეფექტიანი მართვა.

ქვეყანაში შენარჩუნდა უსაფრთხო გარემო და შესაბამის უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირება და უსაფრთხო განვითარება.

უსაფრთხოების გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სამსახური ორიენტირებული იყო საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაზე.

საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას სამსახური მკაცრად იცავდა კანონით განსაზღვრულ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, თანაზომიერებას, დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და პოლიტიკურ ნეიტრალობას.

სამსახურის დანაყოფების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უზრუნველყოფილი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა და გატარდა ეფექტიანი საკადრო პოლიტიკა.

მსურს, მადლობა გადავუხადო უწყების თითოეულ თანამშრომელს საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ურთულეს ამოცანებთან გამკლავების პროცესში შეტანილი წვლილისა და გაწეული სამუშაოსთვის და აღვნიშნო, რომ ჩვენი სამსახურისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა.

გრიგოლ ლილუაშვილი
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი

სარჩევი

ოკუპირებული ტერიტორიები 6

ანექსიისკენ მიმართული პროცესები 7

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები 9

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები 10

საერთაშორისო მექანიზმები 13

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 14

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა 15

დეზინფორმაცია და „ჰიბრიდული ომის“ სხვა საფრთხეები 23

დეზინფორმაცია და პროპაგანდა 23

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები 25

კიბერუსაფრთხოება 26

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 26

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება 27

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა 29

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები 30

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება 30

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა 31

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება 32

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა 32

ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება 33

სისხლის სამართლის საქმეები 33

სპეციალური ოპერაციების ძალები 33

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 34

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა 37

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 39

ანგარიშვალდებულება 39

პერსონალურ მონაცემთა დაცვა 41

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 43
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია 44
საერთაშორისო თანამშრომლობა 44
უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია 48
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება 51
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 51
სასწავლო ცენტრი 53
მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები 54

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას კვლავ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია წარმოადგენს. 2022 წლის განმავლობაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებულ რუსულ საოკუპაციო ბაზებზე უწყვეტად მიმდინარეობდა უკანონო სამხედრო წვრთნები, პირადი შემადგენლობის როტაცია და სხვა უკანონო აქტივობები.

დაფიქსირდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებული მძიმე შეიარაღებისა და სამხედრო მოსამსახურეების გარკვეული ნაწილის უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ჩართვა. აღნიშნულის მიუხედავად, ადგილზე კვლავ რჩებოდა საოკუპაციო ძალების შესაძლებლობათა 50%-ზე მეტი. აღნიშნული ძალები განაგრძობდნენ უკანონო სამხედრო წვრთნებს და სხვა უკანონო აქტივობებს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ, გასული წლების მსგავსად, საოკუპაციო ძალის მხრიდან მიმდინარეობდა ეთნიკური დისკრიმინაცია და გრძელდებოდა მათი ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსულ სამხედრო შემადგენლობასთან ერთად, აქტიურად მოქმედებდნენ რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამსახურები. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზებზე განთავსებულმა საოკუპაციო ძალებმა სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის რამდენიმე ათეული უკანონო სწავლება ჩაატარეს. გარდა ამისა, ხსენებულ ბაზებზე ხორციელდებოდა გეგმური როტაციები, შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განახლების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდნენ ე.წ. მოხალისეები როგორც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან, ისე აფხაზეთიდან. მათ შორის, დადასტურდა არაერთი პირის დაღუპვის ფაქტი.

რუსეთში გამოცხადებული მობილიზაციის პირობებში, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის როკის მონაკვეთზე ამოქმედდა სამხედრო გაწვევის პუნქტი, რომლის მეშვეობითაც გაწვევის საკითხებთან დაკავშირებით ხორციელდებოდა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის კონტროლი.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურად ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, თითქოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მათ მიმართ ძალის გამოყენებისთვის ემზადებოდა. აღნიშნული განცხადებების პარალელურად, საოკუპაციო რეჟიმები გარკვეულ „ზომებსაც“ მიმართავდნენ: ვრცელდებოდა ცნობები საოკუპაციო ხაზის „გამაგრების“, ე.წ.

ბომბსაფრების რეაბილიტაციის, „რეზერვისტთა მობილიზაციისა“ და სხვა უკანონო აქტივობების შესახებ.

აღნიშნული ნარატივი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებისა და მათში რუსეთის ანექსიური პოლიტიკის მიმართ შემრიგებლური განწყობების ჩამოყალიბებისთვის გამოიყენეს. ამ ფონზე, კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო რუსეთის საოკუპაციო ძალების პოლიტიკა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებს ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას არ აძლევდა.

ანექსიისკენ მიმართული პროცესები

უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად, რუსეთის ანექსიურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო კომპლექსური სახე მიიღო, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ოკუპირებულ აფხაზეთში უძრავი ქონების საკითხის გარშემო მიმდინარე პროცესებში.

2022 წლის 19 იანვარს ხელი მოეწერა „შეთანხმებას“, რომელიც რუსეთისთვის ოკუპირებული ბიჭვინთის „სახელმწიფო აგარაკების კომპლექსის“ უსასყიდლოდ, ხოლო მიწის ნაკვეთებისა და მიმდებარე აკვატორიის „იჯარით“ გადაცემას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ე.წ. შეთანხმების მიხედვით, მისი „დენონსირების“ შემთხვევაშიც ობიექტი კვლავ რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში რჩება. ე.წ. შეთანხმების „რატიფიცირება“ ჯერჯერობით არ მომხდარა, ვინაიდან „დოკუმენტით“ გათვალისწინებულმა ზოგიერთმა საკითხმა ადგილობრივებში პროტესტი გამოიწვია. საყურადღებოა, რომ ე.წ. ხელშეკრულების ჩაგდების შემთხვევაში, რუსეთმა ოკუპირებული რეგიონიდან მე-7 საოკუპაციო ბაზის გასვლისა და ოკუპირებულ აფხაზეთზე ფინანსური ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობა არ გამორიცხა.

გარდა ამისა, 2022 წლის 27 ოქტომბერს ოკუპირებულ ბიჭვინთაში არსებული 20 ჰა მიწის ნაკვეთი კრასნოდარის მხარის ყოფილი გუბერნატორისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის კომპანია „მოსკვა რეზორტს“ „მუდმივ სარგებლობაში გადაეცა“.

საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს რუსეთთან ურთიერთობებისა და ე.წ. ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება თბილისიდან მომდინარე შესაძლო ომის საფრთხით გაამართლოს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ იდგა ოკუპირებული გაგრის რაიონის სოფელ აიბღას რუსეთისთვის „მიკუთვნების“ საკითხი, თუმცა საოკუპაციო რეჟიმი მოცემული თემისთვის აქტუალობის დაკარგვას ცდილობდა.

რუსეთის საოკუპაციო ძალა აქტიურად ცდილობდა ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სრულ კონტროლს, რაც გამოიხატა „საბიუჯეტო ტრანშის“ მსხვილი „ინვესტიციებით“ ჩანაცვლების გეგმის შემუშავებაში.

ვინაიდან ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტის ნახევარზე მეტი რუსეთის პირდაპირი ტრანშით ივსება, მაღალი ალბათობით, ფინანსების მოსაზიდად საოკუპაციო რეჟიმს მნიშვნელოვანი, მათ შორის, სტრატეგიული ობიექტების გასხვისება მოუწევს.

ამავდროულად, ანექსიის ჭრილშია განსახილველი, მწვავე ენერგეტიკული კრიზისის ფონზე, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების განცხადებები აღნიშნულ სფეროში რუსი ე.წ. ინვესტორების მოზიდვისა და სტრატეგიული ობიექტების „პრივატიზების“ შესახებ.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალები ანექსიური პოლიტიკის შენიღბვას ოკუპირებული აფხაზეთის რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში გაწევრების საკითხის აქტუალიზაციით ცდილობდნენ. მაღალი ალბათობით, აღნიშნულ პროცესს უკავშირდებოდა რეგიონში ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტიც.

2022 წლის 27 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყებამ „ორმაგი მოქალაქეობის“ შესახებ ე.წ. შეთანხმება გააფორმეს, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღებას ითვალისწინებს. აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა რუსეთთან ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, ე.წ. საზღვრის „გამარტივებული კვეთის“, სოხუმის აეროპორტის აღდგენისა და სხვა მიმართულებით. საყურადღებოა, რომ რუსეთის მთავრობამ „2022-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის“ რეალიზების ერთ-ერთ მთავარ პირობად ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაცია დაასახელა.

საანგარიშო პერიოდში გააქტიურდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფსოუს მონაკვეთის „გამარტივებული რეჟიმით კვეთის“ საკითხი, მათ შორის მაღალი რანგის რუსი პოლიტიკოსების მხრიდან. დისკუსიის ფარგლებში ე.წ. გამშვები პუნქტის გაუქმების იდეამაც გაიჟღერა.

ოკუპირებულ რეგიონზე რუსეთის გავლენის დემონსტრირებას წარმოადგენდა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის წარმომადგენლის „დანიშვნის“ ფაქტი.

მნიშვნელოვან საფრთხედ რჩებოდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ანექსიის საკითხი, ვინაიდან ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო რეჟიმი კვლავ ღიად უჭერდა მხარს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას. ამ მიზნით, საოკუპაციო რეჟიმის ყოფილმა ე.წ. პრეზიდენტმა ოკუპირებული რეგიონის რუსეთის ფედერაციის

შემადგენლობაში შესვლის თაობაზე „რეფერენდუმიც“ კი დანიშნა, თუმცა ე.წ. პრეზიდენტის ცვლილების შემდეგ აღნიშნული საკითხი რუსეთთან „კონსულტაციების“ შედეგად შეჩერდა.

ანექსიის ჭრილშია განსახილველი ე.წ. შეთანხმება „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. მოქალაქეობისა და რუსეთის მოქალაქეობის ერთდროულად ფლობას ითვალისწინებს.

ამასთან, ოკუპირებული ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო კოდექსთან მიერთების შესახებ“ ე.წ. კანონპროექტს მხარი დაუჭირა.

ანექსიის კუთხით კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ოკუპირებული რეგიონების ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე. 2022 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტი დაახლოებით 186.3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის დაახლოებთ 42% (დაახ. 77.5 მილიონი აშშ დოლარი) რუსულ ტრანშს წარმოადგენდა. რაც შეეხება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს, ე.წ. ბიუჯეტი დაახლოებით 120 მილიონი აშშ დოლარი იყო, რომლის დაახლოებით 81% (დაახ. 96,7 მილიონი აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციამ დააფინანსა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები

საანგარიშო პერიოდში ე.წ. შიდაპოლიტიკური პროცესები ორივე ოკუპირებულ რეგიონში აქტიურად მიმდინარეობდა. ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საკანონმდელო ორგანოში დე ფაქტო ხელისუფლება აბსოლუტურ უმრავლესობას არ ფლობდა და მის ფორმირებას „დამოუკიდებელი კანდიდატების“ გამოყენებით ცდილობდა. მიმდინარე გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, რუსეთის ინტერესს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შიდაპოლიტიკური სტატუს-კვოს შენარჩუნება წარმოადგენდა, რის გამოც მას „ოპოზიციის“ მხარდამჭერი რაიმე განცხადება არ გაუკეთებია. საოკუპაციო ძალის უშუალო მხარდაჭერის გარეშე კი ნებისმიერი ე.წ. პოლიტიკური სუბიექტის აქტიურობა უშედეგოა.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთში გაჟღერდა „კონსტიტუციაში“ შესწორებების შეტანის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა „პრეზიდენტის“ აღჭურვას ე.წ. პარლამენტის დათხოვნის უფლებით.

2022 წლის განმავლობაში გაგრძელდა სახიფათო ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ე.წ. არასამთავრობო სექტორს თბილისის ინტერესების სასარგებლოდ მუშაობაში ადანაშაულებდა.

ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს „საზოგადოებრივი აზრის კვლევების“ ჩატარება აეკრძალათ, დაუშვებელი ეწოდა ხალხთა შორის დიალოგისა

და სხვა ტიპის ჰუმანიტარულ პროექტებს, რომლებიც, საოკუპაციო რეჟიმის განმარტებით, მიზნად ისახავდა ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას.

გარდა ამისა, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ერთ-ერთი პროექტი შეწყვიტა, ხოლო მის თანამშრომელს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლა უკანონოდ აუკრძალა.

ზემოხსენებულმა პროცესებმა ადგილზე მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ე.წ. არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შეზღუდვა გამოიწვია. მსგავსი უკანონო პოლიტიკის მიზანია ოკუპირებული რეგიონის დანარჩენი სამყაროსგან იზოლირება.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი განაგრძობდა ე.წ. საგარეო ასპარეზზე აქტიურობას, განსაკუთრებით ბელარუსის, ასევე, სირიისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით. ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით პროცესები, ძირითადად, დამასკოს მეშვეობით ხორციელდებოდა.

2022 წლის დასაწყისში ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებსა და „ოპოზიციას“ შორის დაპირისპირება საოკუპაციო ხაზის ე.წ. დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხის გამო გაგრძელდა, რამაც ე.წ. ოპოზიციონერი დეპუტატების მხრიდან მაშინდელი ე.წ. პრეზიდენტის „იმპიჩმენტის“ საკითხის ინიცირებაც გამოიწვია.

მოგვიანებით ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები ორ ტურად გაიმართა, სადაც გამარჯვებისთვის ყოფილი „პრეზიდენტი“ აქტიურად ცდილობდა მის ხელთ არსებული ე.წ ადმინისტრაციული თუ ფინანსური რესურსების გამოყენებას. რუსეთი ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. შიდაპოლიტიკური დაძაბულობის შექმნას თავს არიდებდა, შესაბამისად, პროცესებზე პირდაპირი ზემოქმედება არ მოუხდენია.

ვინაიდან ოკუპირებულ რეგიონში პოლიტიკის რეალურ განმახორციელებელს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, **ალან გაგლოევის** „გაპრეზიდენტების“ შემდეგ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებით საოკუპაციო რეჟიმის „პოლიტიკა“ არ შეცვლილა.

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის მიზნით რუსეთის ფედერაცია განაგრძობდა „ჰიბრიდული ომის“ სხვადასხვა კომპონენტის, ასევე უკანონო დაკავებების, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციისა და უსაფრთხოების გარემოს დამაზიანებელი სხვა აქტივობების განხორციელებას.

„ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში მიმდინარე დეზინფორმაციული კამპანია ძირითადად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე

„რევანშისტული განწყობების“ ზრდაზე იყო კონცენტრირებული. კამპანიის ფარგლებში ყურადღება ეთმობოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებულ საერთაშორისო სამხედრო წვრთნებსა და თავდაცვის შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით გადადგმულ სხვა ნაბიჯებს. მიმდინარეობდა რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული გამოგონილი, ცრუ ბრალდებებით ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დაშინება.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უკანონოდ დააკავეს 44, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 13 პირი, მათ შორის საყურადღებოა ე.წ. ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქის დაკავების ფაქტი. ასევე, დაფიქსირდა ეთნიკური ქართველების „გამოკითხვაზე“ დაბარების, დაშინებისა და შევიწროების შემთხვევები.

გარდა ამისა, უკანონოდ დააკავეს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები პირი, რომლის წინააღმდეგ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენისა და შენახვისთვის ე.წ. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. განსაკუთრებული ყურადღება მის საცხოვრებელ სახლში ქართული პასპორტისა და საქართველოს სიმბოლიკის (დროშა) აღმოჩენაზე გამახვილდა.

2022 წლის დასასრულს უკანონო პატიმრობაში, საერთო ჯამში, საქართველოს 9 მოქალაქე იმყოფებოდა. უკანონო პატიმრობაში რჩებოდნენ საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებსაც თავისუფლება უკანონოდ რამდენიმე წლით აღუკვეთეს, მათ შორის **ირაკლი ბებუა**. საოკუპაციო ძალა ხანგრძლივი უკანონო დაკავებებით ჰუმანიტარულ კრიზისს ხელოვნურად ქმნის და ცდილობს, აღნიშნული ინსტრუმენტით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლა განახორციელოს.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს მის ხელთ არსებული ყველა ფორმალური თუ არაფორმალური მექანიზმის გამოყენებას, განსაკუთრებით საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კონცენტრაციას, რათა უმოკლეს ვადებში მიაღწიოს უკანონო პატიმრობაში მყოფი პირების უპირობო გათავისუფლებას.

საოკუპაციო რეჟიმების უკანონო პატიმრობაში დაღუპული **ირაკლი კვარაცხელიასა** და **დავით ბაშარულის,** ასევე, საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული **არჩილ ტატუნაშვილისა** და **გიგა ოთხოზორიას** საქმეების მიმართ სამართლის აღსრულება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება, რაც ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ახალისებს დანაშაულებრივ ქმედებებს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება გააგრძელებს მუშაობას, რათა მისი მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

სამართლის აღსრულების კუთხით განსახილველია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ეთნიკურად

ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, წამების, სასტიკი მოპყრობის, მძევლად აყვანისა და შემდგომში მათი უკანონო გადაადგილების გამო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სამი ყოფილი ე.წ. მაღალჩინოსნის დაკავების ორდერი გაიცა.

რუსეთის საოკუპაციო ძალა აქტიურად განაგრძობდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს. 2022 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაფიქსირდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის 69, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 9 შემთხვევა. უკანონო აქტივობები გამოიხატა როგორც ახალი მავთულხლართების გავლებაში, ისე ძველი მავთულხლართებისა და ღობეების განახლებაში, ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულებისა და მიწათხრილების მოწყობაში, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერებისა და საგუშაგოების უკანონოდ აღმართვაში. დაფიქსირდა საოკუპაციო ხაზზე ვიდეოკამერების დაყენების ფაქტებიც.

უსაფრთხოების გარემო კვლავ დაძაბული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანის მიმდებარედ არსებულ საოკუპაციო ხაზთან, სადაც საოკუპაციო ძალის დესტრუქციული მიდგომების გამო კრიზისული ვითარება 2019 წლის აგვისტოდან შეიქმნა. აღნიშნული ვითარების საბოლოოდ განმუხტვა, საოკუპაციო ძალის არაკონსტრუქციული მიდგომების გამო, 2022 წლის განმავლობაშიც ვერ მოხერხდა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყველა შესაძლო ფორმატში არაერთხელ დაფიქსირდა ჩორჩანის კრიზისის დარეგულირებისთვის მზადყოფნა, თუმცა საოკუპაციო ძალის მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები არ გადადგმულა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ მწვავედ იდგა თავისუფალი გადაადგილების პრობლემა. 2022 წლის აგვისტოდან ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობისთვის ორი ე.წ. გადასასვლელი პუნქტი ნაწილობრივ გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ მათი გავლით გადაადგილების საშუალება მხოლოდ მოსახლეობის ნაწილს, ყოველი თვის 20-დან 30 რიცხვის ჩათვლით ეძლეოდა. ადგილობრივების მხრიდან აღნიშნული შესაძლებლობის აქტიურად გამოყენება ნათლად წარმოაჩენს თავისუფალი გადაადგილების საჭიროებას და ამ საკითხისადმი მოსახლეობის დიდ ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით საოკუპაციო ძალამ ე.წ. გამშვები პუნქტები 2019 წლის სექტემბრიდან სრულად ჩაკეტა, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანის მიმდებარედ განვითარებულ მოვლენებთან.

2022 წელს ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, საოკუპაციო ძალის მხრიდან საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებაზე გრძელვადიანი შეზღუდვები არ დაწესებულა, თუმცა გადაადგილების თავისუფლების მხრივ ვითარება არსებითად არ გაუმჯობესდა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მოლაპარაკების ყველა ფორმატში, ისევე როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციისას, მუდმივად და მკაფიოდ აყენებენ თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის საკითხს და ხაზს უსვამენ ამ ფუნდამენტური უფლების შეზღუდვით გამოწვეულ დესტრუქციულ შედეგებს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები კვლავ განიცდიდნენ მიზანმიმართულ დისკრიმინაციას, მათ შორის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვას. კვლავ აქტუალური იყო ოკუპირებული რეგიონების რუსიფიკაციისა და მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლის, მათი ასიმილაციისკენ მიმართული ქმედებები.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველი მოსახლეობის ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და მათი სახლების განადგურება, უკან დაბრუნების გამორიცხვის მიზნით.

საერთაშორისო მექანიზმები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ოკუპაციასთან დაკავშირებული საფრთხეები და გამოწვევები განსაკუთრებული სიმწვავით განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა (GID) და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე.

საოკუპაციო რეჟიმის დესტრუქციული მიდგომებიდან გამომდინარე, ოკუპირებული გალის მიმართულებით IPRM-ის მექანიზმის აღდგენა კვლავ ვერ მოხერხდა. საყურადღებოა, რომ შეხვედრები ოკუპირებულ ქ. გალში 2018 წლის ივნისის შემდეგ აღარ ჩატარებულა.

აქტიურად მიმდინარეობდა კომუნიკაცია „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, რომელიც საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოქმნილ კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

2022 წლის განმავლობაში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების ფარგლებში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დაფიქსირდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი თუ მცირე ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ან/და ოკუპირებული ტერიტორიების სიღრმეში. შეინიშნებოდა შეხვედრების ინტენსივობის მკვეთრად კლების ტენდენცია. საოკუპაციო ძალის გადაწყვეტილებით, 2022 წელს IPRM-ის მხოლოდ ექვსი შეხვედრა ჩატარდა.

აღნიშნულ შეხვედრებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული სიმკაცრით მოითხოვეს უკანონოდ დაკავებული პირების უპირობო და დაუყოვნებლივი გათავისუფლება. განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენდა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვისა და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის საკითხები.

ინციდენტების პრევენციის, მათი განმუხტვისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლის მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) უშუალო ჩართულობით მოქმედი „ცხელი ხაზი“. აღნიშნული მექანიზმი საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 339-ჯერ, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 2 183-ჯერ გააქტიურდა.

საოკუპაციო ძალის მხრიდან კვლავ შეინიშნებოდა „ცხელი ხაზის“ დაზიანების მცდელობები, მათ შორის პოლიტიკური განცხადებებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების მეშვეობით. საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებულ პროვოკაციულ ქმედებებს ცენტრალური ხელისუფლება, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, კონსტრუქციული და კომპლექსური მიდგომებით უპირისპირდებოდა, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფდა „ცხელი ხაზის“ შესაბამის ფუნქციონირებას.

2022 წელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ერთი, 55-ე შეხვედრა 5 ოქტომბერს გაიმართა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, მანდატის ფარგლებში, დეტალურად ისაუბრა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილ უსაფრთხოების გამოწვევებსა და ჰუმანიტარულ პრობლემებზე, მათ შორის ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, უკანონო დაკავებებსა და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის დესტრუქციულ პრაქტიკაზე.

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა მჭიდრო და ეფექტიან თანამშრომლობას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM). აღსანიშნავია, რომ EUMM საქართველოში მოქმედ ერთადერთ სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენს, რომლის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. თუმცა, რუსეთის საოკუპაციო ძალის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას კვლავ ვერ ახერხებდნენ. EUMM-ის მანდატის სრულფასოვანი აღსრულება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, EUMM, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, საოკუპაციო ხაზზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), ასევე, ევროპის საბჭოს (CoE)

წარმომადგენლებთან. ჰუმანიტარული კუთხით, ხაზგასასმელია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობა, მათ შორის ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირთათვის გადაუდებელი სამედიცნო დახმარებისა და მათი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანის მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია ხსენებული ორგანიზაციის ჩართულობით 90-იანი წლების კონფლიქტისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ თუ დაღუპულ პირთა მოსაძიებლად გაწეული მუშაობა, რომლის ფარგლებშიც, საანგარიშო პერიოდში, „სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის“ ერთი შეხვედრა 2022 წლის სექტემბერში გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალურად განეიტრალებისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის გააქტიურებული პროცესების ხელშესაშლელად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს. ამასთან, ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმირების მიზნით, მანდატის ფარგლებში, მართავდა შეხვედრებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებთან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2022 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ რეგიონში შექმნა უმძიმესი ვითარება, გეოპოლიტიკური კრიზისი და რეგიონის არაერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა. ფართომასშტაბიანმა ომმა გრძელვადიან პერსპექტივაში, ფუნდამენტურად დააზიანა რეგიონის უსაფრთხოების გარემო და პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ევროპის უსაფრთხოებაზე. ამასთან, ბირთვული ომის მომეტებულმა რიტორიკამ არსებითად შეცვალა გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგი.

რუსეთის მიერ გაცხადებულმა ღია ექსპანსიურმა პოლიტიკამ და აღნიშნული მიზნების ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებით მიღწევის მცდელობამ, ოკუპაციის პირობებში მყოფი საქართველოს სტაბილურობა განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა, შექმნილმა ვითარებამ კიდევ უფრო გამოკვეთა ქვეყნის წინაშე არსებული ეგზისტენციალური საფრთხეები.

კონვენციური საომარი მეთოდების პარალელურად, უსაფრთხოების გარემოს უაღრესად აზიანებდა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაზე, ენერგოუსაფრთხოებასა და სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაზე ზეწოლის მოხდენის მცდელობები, კიბერთავდასხმები, დეზინფორმაციული კამპანიები და „ჰიბრიდული ომის" ფარგლებში გამოყენებული სხვა ინსტრუმენტები.

2022 წელს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისთვის ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პერიოდულად მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებები და მათი შესაძლო გამწვავების რისკი.

საქართველოს გარშემო მიმდინარე რთულ და არაპროგნოზირებად პროცესებს თან ერთვოდა ქვეყანაში დესტრუქციული ძალების მიერ ინსპირირებული შიდაპოლიტიკური დაძაბულობა და მისი გამწვავების მცდელობები. შიდა და გარე აქტორები, პატრიოტულ განწყობებზე აპელირებით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ განცხადებებს ავრცელებდნენ და მოსახლეობას დესტრუქციული, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის დამაზიანებელი ქმედებების განხორციელებისკენ მოუწოდებდნენ.

ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოების გარემოს აზიანებდა მტრულად განწყობილი სუბიექტების მიერ საზოგადოების მეტი პოლარიზაციისკენ მიმართული აქტივობები, კრიტიკულად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების შეფერხების მცდელობები, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისკენ მოწოდება და სოციალური დესტაბილიზაციის ხელშეწყობა.

დესტრუქციული ძალები, მათ შორის, უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან შესაძლო კავშირში მყოფი სუბიექტები, ცდილობდნენ საქართველოს ურთიერთობის დაზიანებას კონკრეტულ სახელმწიფოებთან, დასავლელ პარტნიორებსა და სტრატეგიულ მოკავშირეებთან. რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების გათვალისწინებით, მსგავსი აქტივობები საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

შეცვლილი გეოპოლიტიკური რეალობისა და მისი თანმდევი საფრთხეებისა თუ გამოწვევების გათვალისწინებით, 2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებისა და მისი შედეგების განეიტრალებისკენ. აღნიშნული მოიცავდა უცხო სახელმწიფოების სპეციალური სამსახურების, მათი ეგიდით მოქმედი ცალკეული ორგანიზაციებისა თუ პირების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისა და სხვა ტიპის საქმიანობის ადრეულ ეტაპზე გამოვლენას, პრევენციას და აღკვეთას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, ახორციელებდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული

უსაფრთხოების დაცვას უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საზიანო ქმედებებისაგან.

რეგიონში მაღალი ინტენსივობით მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული კონტრდაზვერვითი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, მაქსიმალურ კონტროლზე იყო აყვანილი უსაფრთხოების ყველა მიმართულება. საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების გარემო სრულ კონტროლს ექვემდებარებოდა.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური და ანალიტიკური მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოების ხელყოფისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისა და ცალკეული ქმედებების დროულად პროგნოზირებისა და განეიტრალებისთვის.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ ეფექტიანად იყო გამოყენებული ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოქმედი თუ აღნიშნულში შემჩნეული სუბიექტების ქვეყნიდან გაძევების, ქვეყანაში არშემოშვების, შესაბამის პასუხისგებაში მიცემისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემზღუდავი მექანიზმები.

მიმდინარეობდა ინტენსიური თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების კოლეგა სამსახურებთან. ამასთან, რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად იყო გააქტიურებული კოორდინირებული მუშაობა საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან. ხელისუფლების შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს 24-საათიან რეჟიმში მიეწოდებოდათ ინფორმაცია უსაფრთხოების მიმართულებით განვითარებულ და მოსალოდნელ პროცესებზე, მათ შემაკავებელ ღონისძიებებსა და შედეგებზე.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, უსაფრთხოების სისტემაში ჩართულ სხვა უწყებებთან ერთად, გატარებული კოორდინირებული და კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დამაზიანებელი აქტივობები და დესტრუქციული ძალების მიერ ინსპირირებული შიდა არეულობები. შესაბამისად, ქვეყანა დაცული იყო სამხედრო კონფლიქტებში ინტერვენციისა და ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი, შეუქცევადი პროცესების განვითარებისგან.

უსაფრთხოების ყველა საკითხზე მიღებული იყო რაციონალურ პოლიტიკაზე დამყარებული, დროული და ინფორმირებული გადაწყვეტილება და რეგიონში შექმნილი კრიზისის პირობებში, ქვეყანაში შენარჩუნებულ იქნა უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, აქტიურად განაგრძობდა საქართველოსთან მიმართებით უცხო

ქვეყნების სპეციალური სამსახურების მისწრაფებების, დაინტერესების სფეროებისა და ობიექტების, მოქმედების ფორმებისა და სადაზვერვო მეთოდების დადგენას. მიმდინარეობდა ოპერატიული მუშაობა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საფარქვეშ მოქმედი პირების, პირთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების გამოსავლენად, ხორციელდებოდა ოპერატიულად საყურადღებო სუბიექტების საქმიანობის შესწავლა და მონიტორინგი. ეფექტიანი კონტრზომების დაგეგმვისა და პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, მიმდინარეობდა მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და შესაბამისი ანალიზი.

2022 წელს, სამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გატარებული ღონისძიებების შედეგად, გამოიკვეთა, რომ უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობა მიმართული იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, საქართველოს მონაწილეობით მიმდინარე თუ დაგეგმილი საერთაშორისო და რეგიონული პროექტების, მათ შორის, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისკენ. ცალკეული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებების საქმიანობა, თავდაცვის სფეროში და სახელმწიფო საზღვარებზე არსებული ვითარება. ცალკეულ სპეციალურ სამსახურებს აინტერესებდათ სოციალური საკითხები და მოსახლეობის განწყობები, მათ შორის, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

საქართველოზე იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მოპოვებით დაინტერესებული გარე ძალები საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის იყენებდნენ მათდამი ფინანსური და სხვა დაინტერესების გამო ლოიალურად განწყობილი საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობებს, ასევე, საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. 2022 წელს კვლავ აქტიურობით გამოირჩეოდნენ დესტრუქციულ გარე აქტორებთან შესაძლო კავშირის მქონე, პროდასავლური კურსის მოწინააღმდეგე პოლიტიკური სუბიექტები თუ ცალკეული ჯგუფები. მათ მიზანს, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა და საზოგადოების პოლარიზაცია წარმოადგენდა.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უკიდურესად ნეგატიური, პროვოკაციული ქმედებების დაგეგმვისა და რეალიზების მცდელობებს როგორც უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რიგ შემთხვევებში, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ მართული ქმედებები ემსახურებოდა საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების დაზიანებას კონკრეტულ სახელმწიფოებთან, ასევე, საკუთარი დესტრუქციული დღის წესრიგის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანას.

აღნიშნული საფრთხეებისა და კანონსაწინააღმდეგო აქტივობების საპასუხოდ, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაატარა ეფექტიანი და

კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები და მოახდინა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების პრევენცია-აღკვეთა.

მოპოვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე, 2022 წელს სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 17 საქმეზე.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ამავე დეპარტამენტმა გამოავლინა და აღკვეთა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საქართველოში დაგეგმილი ისრაელის მოქალაქის მკვლელობის მცდელობა. აღნიშნულ საქმეზე დაკავებულ იქნენ უცხო ქვეყნების და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები. იდენტიფიცირებული არიან უცხოეთში მყოფი დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზატორები, მათ შორის, დადგინდა მკვლელობის სავარაუდო შემკვეთი და სხვა მონაწილე პირები, რომელთა მიმართ ამჟამადაც მიმდინარეობს კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

2022 წელს სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 3 საქმეზე, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმის მომზადების ფაქტზე, რაზეც გატარდა შესაბამისი პრევენციული ზომები აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის ხელშეშლის მიზნით.

2022 წლის განმავლობაში სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია, ქვემდებარეობით, გადაიგზავნა სხვა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები, თავდაცვის სფეროში არსებული ვითარება, მიმდინარე აქტივობები და სამომავლო გეგმები. აღნიშნული, მათ შორის, უკავშირდებოდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და თავდაცვის სისტემების ნატოს სტანდარტებთან მიახლოების პროცესს, ასევე, რეგიონში მიმდინარე საომარ მოქმედებებს.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად, აქტიურად განაგრძობდა მუშაობას საქართველოს თავდაცვის ძალების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის მიმართულებით და ახდენდა დაინტერესებული უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობისა და მათგან მომდინარე სხვა საფრთხეებისგან თავდაცვის უწყებაში უსაფრთხოების რეჟიმების დაცვას. აღნიშნულ პროცესში შესაძლო ჩართული სუბიექტების გამოსავლენად გატარდა შესაბამისი კონტრდაზვერვითი ღონისძიებები.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნორმების საფუძველზე, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამსახურის მიერ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო ორგანოებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტებზე საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებები და შესაბამისი კოორდინაცია. მაღალი რისკის მქონე ობიექტებზე შესაძლო დანაშაულებრივი (მათ შორის, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ ობიექტზე აგენტურის შესაძლო ჩანერგვა და ტექნიკური შეღწევა) ან ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ქმედებების თავიდან აცილების და სათანადო რეაგირების მიზნით, სამსახური, წინსწრებით მოიპოვებდა ინფორმაციას და გასცემდა შესაბამის პრევენციული სახის რეკომენდაციებს.

2022 წელს სამსახური განაგრძობდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვებისა და სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვებისთვის სანდოობისა და საიმედოობის დასადგენად სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება გაიცა 153 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე, ხოლო გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის საფუძველზე, აღნიშნული ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა 11 მათგანს.

ამასთან, საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 113 ორგანიზაცია-დაწესებულებაში. 5 556 ფიზიკურ პირზე განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების შემოწმების პროცედურა.

2022 წელს, რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად გაზრდილი მიგრაციული ნაკადის მონიტორინგის მიზნით, არსებული რისკებისა და გამოწვევების შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააქტიურა შესაბამისი კონტრდაზვერვითი საქმიანობა. აღნიშნული პროცესი წარმართული იყო საქართველოში სხვადასხვა საფუძვლით შემოსვლის და ცხოვრების ნებართვის მოპოვების მსურველი უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვების სუვერენული უფლებისა და კანონმდებლობის სრული დაცვით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა საქართველოში სხვადასხვა სტატუსით ცხოვრების ნებართვის მინიჭების მიზანშეწონილობა განიხილა უცხო ქვეყნის მოქალაქეების 63 000-ზე მეტ საქმეზე. საქართველოს მოქალაქეობის სხვადასხვა წესით მინიჭებასთან (მათ შორის, შენარჩუნება/აღდგენასთან) დაკავშირებით, განხილული იყო დაახლოებით 22 000 საქმე.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონიტორინგის საფუძველზე, სამსახურის მიერ გამოვლინდნენ მოქალაქეები, რომლებიც აყვანილი იყვნენ სასაზღვრო კონტროლზე ან იძებნებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი სამართალდამცავი უწყებების მიერ. აღნიშნული პირების შესახებ მონაცემები, შემდგომი რეაგირებისთვის, ეცნობა შესაბამის უწყებებს.

ამასთან, 2022 წელს სამსახურის მიერ მიმდინარეობდა საქართველოში არალეგალურად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა-შესწავლა. საანგარიშო პერიოდში სამსახურმა დაადგინდა კრიმინალურ საქმიანობაში ჩართული პირები, რომლებსაც კონტაქტი აქვთ საქართველოში არალეგალურად მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან. მათ მიმართ, საქართველოს შესაბამის უწყებებთან ერთად, გატარდა კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.

ამავე დროს, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა უკანონო გზით და ფიქციური დოკუმენტებით, ცდილობდნენ საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღებას. ასევე, მიმდინარეობდა აღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში მათი ხელშემწყობი საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში დარეგისტრირებული ორგანიზაციებისა და მათი კავშირების დადგენა. შემდგომი რეაგირების მიზნით აღნიშნული ფაქტების შესახებ სამსახურის მიერ ინფორმირებულ იქნა შესაბამისი უწყებები.

დესტრუქციულად განწყობილი უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების შესაძლო თანამშრომლებისა და მათთან კავშირში მყოფი სუბიექტების გამოსავლენად, 2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიგრაციული არხების ოპერატიული კონტროლის მიმართულებით არაერთი პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიება გაატარა.

სამსახურის ხელთ არსებული და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ გაზიარებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევის გამო, საანგარიშო წლის განმავლობაში, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი ეთქვა ცალკეული სახელმწიფოების ასობით მოქალაქეს.

ვიზიტორთა ნაკადში ასევე გამოვლინდნენ უცხო ქვეყნის ის მოქალაქეებიც, რომლებიც, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე პროვოკაციული ქმედებების განხორციელებას გეგმავდნენ და ღიად გამოხატავდნენ საქართველოს ინტერესების საზიანო განწყობებს. მათ მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები და გამოყენებულ იქნა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

სანქციებისათვის თავის არიდების შესაძლო ფაქტების გამოვლენის მიზნით, კონტროლზე იყო აყვანილი საქართველოში დროებით მცხოვრები ოპერატიულად

საყურადღებო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში იურიდიული პირების დაფუძნების ფაქტები. ამასთან, ტარდებოდა შესაბამისი ზომები სანქციებისგან თავის არიდების მიზნით ქართული კომპანიების შესაძლო გამოყენების აღსაკვეთად. საანგარიშო წლის განმავლობაში მსგავსი ტიპის საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები იდენტიფიცირებული არ ყოფილა.

2022 წელს, ასევე, გამოვლინდა უცხო ქვეყნის რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყანაში მყოფი უცხო ქვეყნებისა და საქართველოს მოქალაქეების შესახებ გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის მოპოვებას, ახდენდნენ სხვადასხვა ობიექტის, მათ შორის, სტრატეგიული და სარეჟიმო ობიექტების საეჭვო ფოტო-ვიდეოგადაღებას. უსაფრხოების ზომების უზრუნველსაყოფად სამსახურის მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე მათი საქმიანობა შეიზღუდა.

სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, 2022 წელს სამსახურმა, შესაბამის უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავდა სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარებას, თანამედროვე პროგრამული საშუალებებისა და სისტემების შემუშავება-დანერგვას.

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, სამსახურის მმართველობაში შემავალი სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბაზაზე შეიქმნა ტექნიკური მომსახურების ცენტრი, რომლითაც ისარგებლებენ სასაზღვრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

ამასთან, სახმელეთო საზღვრის ცალკეულ სექტორზე მოეწყო ელექტრონული დაკვირვების სისტემები, ხოლო რადიაციული სისტემების სასერვერო ინფრასტრუქტურა განახლდა საქართველოს თითქმის ყველა სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აღკვეთა საქართველოს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე და/ან მათი გვერდის ავლით ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო შემოტანისა და სხვადასხვა ქვეყანაში შემდგომი რეალიზაციის მცდელობები. რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამსახური მუდმივ კოორდინაციაში იმყოფებოდა შესაბამის უწყებებთან და უზრუნველყოფდა აღნიშნული მიმართულებით ოპერატიული ვითარების კონტროლს.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2022 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფების მიერ, რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 3 პირი.

დეზინფორმაცია და „ჰიბრიდული ომის“ სხვა საფრთხეები

2022 წელს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „ჰიბრიდული საფრთხეები“. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, ეროვნული ინტერესების დაცვის პროცესში, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა თუ ცალკეული დესტრუქციული ძალების მიერ მართული პროცესები, სადაც აქტიურად და ხშირ შემთხვევაში, კოორდინირებულად იყო გამოყენებული ე.წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციების (მათ შორის კიბეროპერაციების), ასევე, „საინფორმაციო ომის“ ინსტრუმენტები.

დეზინფორმაცია და პროპაგანდა

2022 წელს, გარე თუ ქვეყნის შიგნით მოქმედი აქტორების მიერ, საქართველოს ინტერესების საზიანოდ წარმოებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიები მიმდინარეობდა ქვეყანაში არსებული აქტუალური საკითხებისა და რეგიონში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ.

დეზინფორმაციული კამპანიების უმთავრეს მიზანს კვლავ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ზეგავლენის მოხდენა, ხოლო საპირწონედ, საზოგადოებაში საკუთარ ინტერესებს მორგებული დღის წესრიგისა და მსოფლმხედველობის გავრცელება წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა უსაფრთხოების გარემოს უკიდურესად დაზიანებისკენ მიმართული დეზინფორმაციული პროცესები. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმდინარეობდა მიზანმიმართული საინფორმაციო თავდასხმები.

ცრუ და დაუსაბუთებელი ინფორმაციების გავრცელება მიზნად ისახავდა საქართველოს ურთიერთობების დაზიანებას სტრატეგიულ პარტნიორებსა და მოკავშირეებთან, ასევე, ცალკეულ ქვეყნებთან. ამასთან, დაფიქსირდა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების აქტიური მცდელობები.

საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზეგავლენის ოპერაციებისგან მეტი ეფექტის მისაღებად, კვლავ აქტუალური იყო შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება და კიდევ უფრო დახვეწა. ამასთან, აღნიშნულ პროცესებში ჩართული ცალკეული სახელმწიფოებისა და მათი სპეციალური სამსახურების მიერ აქტიურად გამოიყენებოდა მათდამი მატერიალურად ან სხვა დაინტერესების გამო დამოკიდებული ორგანიზაციები, კონკრეტული პირები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები.

2022 წელს რეგიონში მიმდინარე ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების ფონზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ გავრცელდა არაერთი დეზინფორმაციული განცხადება თუ პროპაგანდისტული კამპანია.

განსაკუთრებით მწვავე იყო სამსახურის მისამართით აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, იურიდიულ და ფაქტობრივ გარემოებებს მოკლებული ბრალდებები, მათ შორის, ბრალდება კონტრაბანდული ტვირთების გადატანის ორგანიზების მიზნით მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურთან თანამშრომლობის შესახებ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან პროაქტიულ რეჟიმში შემდგარი კომუნიკაციისა და დეტალური ინფორმაციის, მათ შორის, მტკიცებულებების მოთხოვნის მიუხედავად, პროცესში მონაწილე ბრალმდებელ შიდა და გარე მხარეებს არ წარმოუდგენიათ არავითარი მტკიცებულება. აღნიშნული კამპანია ცალსახად წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ მიზანმიმართულ პროვოკაციას.

ომის თანმდევი ცალკეული პროცესების თაობაზე, მიმდინარეობდა საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანა და ფართო მოსახლეობაში პროტესტის ხელოვნურად გაღვივებისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიები. აღნიშნულ კონტექსტში ხაზგასასმელია უცხო ქვეყნების მოქალაქეების „მასობრივი" და „უკონტროლო" შემოდინების შესახებ წამოწყებული დეზინფორმაციული კამპანია. მიმდინარეობდა საზოგადოების დაშინება შემოსულ პირთა შორის ე.წ. დივერსანტების, ტერორიზმთან დაკავშირებული ჯგუფებისა და საფრთხის შემცველი სუბიექტების არსებობის შესახებ ინფორმაციით.

ამასთან, სამსახურის მიერ დასაბუთებული ინფორმაციის არაერთგზის გავრცელების მიუხედავად, პოლიტიკურად ანგაჟირებული პირები განაგრძობდნენ სამსახურის ხელმძღვანელი პირების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

სამსახურის ხელმძღვანელობისა თუ უწყების საქმიანობის თაობაზე წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიები რეალურად მიმართული იყო ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის წინააღმდეგ, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების მიმართ მოსახლეობის ინტერესის შემცირებისა და საბოლოო ჯამში, ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხო გარემოს დაზიანებისკენ.

საანგარიშო პერიოდში სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ე.წ. საინფორმაციო ომის ფარგლებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, აღნიშნულ კამპანიებში ჩართული პირებისა თუ ორგანიზაციების, ასევე, მათი დაფინანსების წყაროების გამოვლენას, ურთიერთკავშირების დადგენას და რისკების ანალიზს. ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები სხვადასხვა სახის სადაზვერვო ღონისძიებების განსახორციელებლად აქტიურად განაგრძობდნენ ე.წ. რბილი ძალის ინსტრუმენტის გამოყენებას.

აღნიშნულ პროცესში, თავიანთი ამოცანების მისაღწევად მათ ჩართული ჰყავდათ საკუთარ ქვეყნებში მოქმედი პოლიტიკური ძალები, სამეცნიერო და საექსპერტო წრეები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ბიზნესდაწესებულებები და სხვადასხვა ფონდი. ამასთანავე, ისინი აქტიურად ცდილობდნენ შესაბამისი მიმართულებებით საქართველოში არსებულ კონკრეტულ ჯგუფებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას და საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესაძლებლობების გამოყენებას.

აღნიშნული კავშირების დასამყარებლად უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები საკუთარ ან მესამე ქვეყნებში ორგანიზებას უწევდნენ სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებსა და საექსპერტო შეხვედრებს. საკუთარი პოლიტიკური, სამხედრო და ნაციონალური იდეოლოგიის გასავრცელებლად აღნიშნული აქტორების მიერ, განსაკუთრებით უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში, აქტიურად გამოიყენებოდა ჰუმანიტარული, ინფრასტრუქტურული თუ ბიზნესპროექტები.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა სხვადასხვა სახის სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ფაქტები, რომელთა მიზანს „ზეგავლენის ოპერაციებისთვის" სამიზნე ჯგუფებში ცალკეული საკითხების გარშემო არსებული განწყობების შესწავლა და, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების ინტერესების შესაბამისად გამოყენება წარმოადგენდა.

„რბილი ძალის" პოლიტიკის საწარმოებლად, სხვა სახელმწიფოების მიერ ეფექტურ მეთოდად განიხილებოდა საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელება და აღნიშნული საქმიანობით ახალგაზრდების მოზიდვა, მათი დადებითი განწყობების მოპოვება და კონკრეტულ საკითხებზე საკუთარ ინტერესებს მორგებული შეხედულებების გავრცელება.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარდა სათანადო ოპერატიული ღონისძიებები. შესაბამის უწყებებთან ერთად, პერმანენტულად მიმდინარეობდა ზემოხსენებული პროცესების კონტროლი და ანალიზი, შესაძლო კანონდარღვევების გამოვლენისა და პრევენციისთვის ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი აღნიშნულ საქმიანობაში მონაწილე ან/და ხელშემწყობი პირები და ორგანიზაციები.

კიბერუსაფრთხოება

2022 წელს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა ქვეყნის კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ წარმოებული კიბერშეტევითი და კიბერსადაზვერვო ოპერაციები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დაქვემდებარებაში შემავალმა სახელმწიფო ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების ცენტრმა რეაგირება მოახდინა განსაკუთრებული სირთულის 33 კიბერინციდენტზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოები) წინააღმდეგ.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მუშაობდა ქვეყანაში უსაფრთხო საკომუნიკაციო ქსელის განვითარების მიმართულებით, ასევე, შემუშავდა შესაბამისი ელექტრონული პლატფორმები პირველი (სახელმწიფო ორგანოები) და მეორე (სატელეკომუნიკაციო კომპანიები) კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან ინფორმაციის გასაცვლელად, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს კიბერინციდენტებზე რეაგირების ეფექტურობას.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა დიდი ბრიტანეთის საელჩოსთან თანამშრომლობით, დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, რომლიც არსებითად შეუწყობს ხელს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში მიმდინარე ინციდენტების გამოვლენის, დროული მართვისა და აღკვეთის მიმართულებებით.

ამასთანავე, ხაზგასასმელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ორგანიზებით და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, ენერგეტიკულ სექტორში კიბერუსაფრთხოების საკითხებზე სასწავლო პროგრამის განხორციელება. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ენერგეტიკული სექტორის ოპერატორებმა და მარეგულირებელმა უწყებებმა მიიღეს ინფორმაცია კიბერინციდენტების გამოვლენის, აღკვეთის და მართვის სპეციფიკის შესახებ.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

2022 წლის განმავლობაში საერთაშორისო ტერორიზმის მიმართულებით არსებული ვითარება მსოფლიოსთვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად განაგრძობდნენ ტერორისტულ საქმიანობას. საანგარიშო პერიოდში „დაეშმა“ და „ალ-კაიდამ“ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს. „თალიბანისგან“ მომდინარე გამოწვევები ავღანეთსა და მთელ რეგიონში გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა.

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება

„დაეში“

2022 წლის განმავლობაში „დაეშის“ ძირითად სამოქმედო არეალს სირია-ერაყის ტერიტორია, ავღანეთი და აფრიკის გარკვეული რეგიონები წარმოადგენდა. სირიასა და ერაყში მოქმედი „დაეშის“ ტერორისტი მებრძოლების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში დანაყოფები გარკვეულ ბრძოლისუნარიანობას ინარჩუნებდნენ.

2022 წლის იანვარში სირიაში (ჩრდილო–აღმოსავლეთში) არსებულ საპატიმროზე განხორციელებული მასშტაბური თავდასხმით „დაეშმა“ საკუთარი რესურსების დემონსტრირება მოახდინა, რა დროსაც ასობით მსჯავრდებულმა ტერორისტმა გაქცევა შეძლო. გამოწვევას წარმოადგენდა სირიაში არსებული ბანაკები, სადაც „დაეშის“ ტერორისტი-მებრძოლების ოჯახის წევრები იმყოფებიან. ისინი ლოკალური უსაფრთხოების გარემოს სხვადასხვა გზით დაზიანებას ცდილობდნენ. საგულისხმოა, რომ ბანაკებში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა ადგილზე მყოფი მცირეწლოვნების რადიკალიზაციის საკითხი. აღნიშნული მოქალაქეების რეპატრიაცია მრავალი სახელმწიფოსთვის კვლავ პრობლემად რჩებოდა.

„დაეშის“ ავღანეთში მოქმედი დანაყოფი ტერაქტებს „თალიბანისა“ და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ რეგულარულად ახორციელებდა. ასევე, მის გარკვეულ აქტივობებს ადგილი ჰქონდა ავღანეთის საზღვრებს მიღმაც. აფრიკაში, განსაკუთრებით კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მოქმედმა „დაეშის“ დანაყოფებმა ტერორისტული აქტივობები გასულ წლებთან შედარებით კიდევ უფრო გააძლიერეს.

საანგარიშო პერიოდში „დაეშმა“ ორი ლიდერი დაკარგა. 2022 წლის თებერვალში სირიის პროვინცია იდლიბში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციის დროს, „დაეშის“ ლიდერმა თვითლიკვიდაცია განახორციელა. მისი შემცვლელი კი, ოქტომბერში, სირიის პროვინცია დარაში ადგილობრივი ძალების მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად დაიღუპა.

ტერორისტული ორგანიზაციის მიერ დასახელებული ახალი ლიდერი, დიდი ალბათობით, „დაეშის“ მართვის პროცესში ნაკლებად იქნება ჩართული. აღნიშნულიდან გამომდინარე, „დაეშის“ სტრუქტურასა და ტერორისტულ აქტივობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ნაკლებად სავარაუდოა.

„ალ-კაიდა“

2022 წელს „ალ-კაიდამ“ ლიდერი დაკარგა. ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ძებნის შემდეგ, იგი აშშ-ის მიერ ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში, დრონით განხორციელებული თავდასხმის შედეგად იქნა ლიკვიდირებული. თუმცა ტერორისტული ორგანიზაცია მის დაღუპვას დღემდე არ აღიარებს. აღნიშნულის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში, „ალ–კაიდა“ მნიშვნელოვნად არ შესუსტებულა.

2022 წელს ტერორისტული ორგანიზაციის ყველაზე ბრძოლისუნარიან დანაყოფებს აფრიკის კონტინენტზე (განსაკუთრებით სომალიში) მოქმედი მისი რეგიონული ქსელები წარმოადგენდნენ. ამავე პერიოდში ლიმიტირებულ აქტივობას ინარჩუნებდა ტერორისტული ორგანიზაციის იემენში მოქმედი დანაყოფი.

„ალ-კაიდასთვის“ დამახასიათებელი სტრუქტურული დეცენტრალიზაციის პირობებში, მისი რეგიონული დანაყოფების აქტივობები მნიშვნელოვანი ავტონომიურობით ხასიათდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის განადგურება მის სამომავლო აქტივობებში ფუნდამენტურ ცვლილებებს არ გამოიწვევს.

„თალიბანი“

2022 წლის განმავლობაში, „თალიბანის“ მმართველობის პირობებში, ავღანეთში ტერორიზმის კუთხით არსებული ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა. ქაბულში „ალ–კაიდას“ ლიდერის ლიკვიდაციით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ავღანეთის ტერიტორიის „ალ-კაიდას“ მიერ ერთგვარ თავშესაფრად გამოყენებისა და „თალიბანთან“ თანამშრომლობის ფაქტი.

2022 წელს ავღანეთში არსებული ვითარება – ჰუმანიტარული კრიზისი და „თალიბანის“ მხრიდან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები სირთულეებს ქმნიდა გლობალური უსაფრთხოების მიმართულებით. ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხის წინაშე აღმოჩენილი მოქალაქეები თავშესაფარს, მათ შორის, ევროპის ქვეყნებში ითხოვდნენ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ინფორმაციით 2022 წლის განმავლობაში ავღანელები რაოდენობით მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ლტოლვილთა ჯგუფს წარმოადგენდნენ.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც სირია-ერაყიდან ლტოლვილებს შორის რადიკალიზებული ან/და ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერი პირების მიერ შექმნილ საფრთხეს უკავშირდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთში არსებული მძიმე ვითარება სათანადო ყურადღებას/რეაგირებას საჭიროებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავღანეთის მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ექსტრემისტული იდეებისადმი მოწყვლადი პირებისთვის რადიკალიზაციის ხელშემწყობ დამატებით ფაქტორს წარმოადგენს.

ავღანეთში არსებული ვითარება ქვეყანაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების გაძლიერების საფრთხეს აჩენს. ცნობილია, რომ მოცემულ ეტაპზე ადგილზე „ალ-კაიდას“ ასეულობით მებრძოლი და რამდენიმე ლიდერი იმყოფება. ამასთან, „თალიბანს“ არ შესწევს უნარი, გაანეიტრალოს ავღანეთში მოქმედი „დაეშის“ დანაყოფისგან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები, რომლის პოტენციური გაძლიერება რეგიონისა და მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის ძალადობრივი გამოვლინებები მსოფლიო უსაფრთხოების ერთ–ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. ინციდენტებს, ძირითადად, რასისტული, ეთნიკური, ისლამოფობიური და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე ჰქონდა ადგილი. 2022 წელს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ექსტრემისტული იდეების მხარდაჭერის პრობლემა სახელმწიფო წყობილების/დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებშიც გამოვლინდა, თუმცა აღნიშნული წარმატებით იქნა აღკვეთილი.

ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, აღნიშნული პრობლემა დასავლეთის გარკვეულ სახელმწიფოებში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად შეფასდა. ამ კონტექსტში გლობალური უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოების რეზისტენტულობის გაზრდისა და სხვა პრევენციული შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე, ძალადობრივი ექსტრემიზმის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აქტიურად განაგრძობდა. აღნიშნულის ფარგლებში, სამსახური ახორციელებდა ტერორისტული საფრთხეების იდენტიფიცირებასა და გამოვლენას, ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებისა და გაზიარების კუთხით საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერებას, ტერორისტულ გამოწვევებთან გამკლავების მიმართულებით შესაბამისი პრევენციული ზომების გატარებას, კონტრტერორისტული საქმიანობის განხორციელების მექანიზმების გაუმჯობესებასა და გამოწვევებზე/ინციდენტებზე რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერებას. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უშუალოდ ჩართული დანაყოფების შემადგენლობის მუდმივი მომზადება და პროფესიული განვითარება სამსახურის ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა.

ტერორიზმის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში, საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა პოზიტიურად იქნა შეფასებული.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია და ტერორიზმის კუთხით, სტაბილურად მშვიდი გარემო არსებობდა, ასევე, ქვეყანას შეუძლია ტერორისტულ ინციდენტებზე სათანადო რეაგირება, მათი აღკვეთა და გამოვლენა.
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც ტერორიზმთან დაკავშირებულ შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების მიმართულებით წამყვანი უწყება, მჭიდროდ თანამშრომლობს კონტრტერორისტულ საქმიანობაში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კარგად აღჭურვილი და მომზადებულია, რეგულარულად მიმდინარეობს სამსახურის კონტრტერორისტული დანაყოფის შესაძლებლობების გაძლიერება.

„ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“, ტერორიზმის გავლენის კრიტერიუმით შეფასებისას, საქართველომ ბოლო ადგილი (ისევე როგორც რამდენიმე ათეულმა ქვეყანამ) დაიკავა, რაც გულისხმობს, რომ 2022 წელს საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები

საქართველოს წინაშე შემდეგი ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები არსებობს:

- საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება;
- სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა;
- ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება;
- საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა;
- ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული ძალისხმევისა და აღნიშნული მიმართულებით სხვა რელევანტურ

უწყებებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, საქართველო ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათი მხარდამჭერებისთვის ხელსაყრელ სამოქმედო არეალს არ წარმოადგენდა.

საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სახელმწიფოს ძლიერი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობის მიუხედავად, ტერორისტული ორგანიზაციები და მათი მხარდამჭერები, ტერაქტების განხორციელებას მაინც ახერხებდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ტერორისტული თავდასხმის მოწყობის შესაძლებლობის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში საქართველოში არ ხორციელდებოდა ტერორისტული აქტივობები, არ ფუნქციონირებდა სტრუქტურიზებული ტერორისტული ჯგუფი და მინიმუმამდე იყო შემცირებული ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების რისკები. 2022 წელს ქვეყანაში არ დაფიქსირებულა აქტიური რადიკალური/ექსტრემისტული კერები, ხოლო ტერორისტული იდეოლოგიის შესაძლო მხარდამჭერთა რიცხვი კვლავ დაბალი იყო.

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა

სირიასა და ერაყში მყოფი, წარსულში ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში მებრძოლი პირებისა და მათი ოჯახის წევრების შესაბამის სახელმწიფოებში რეპატრიაცია მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. აღნიშნული პრობლემა საქართველოს წინაშეც დგას. მოცემულ ეტაპზე სირიაში, სავარაუდოდ, იმყოფება ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში სხვადასხვა დროს მებრძოლი საქართველოს მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული გამოძიების შედეგად, ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისა და დახმარების ფაქტზე, 2022 წლის დეკემბერში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაკავებულ იქნა „დაეშის“ ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს მოქალაქე **ცისკარა ტოხოსაშვილი**. აღნიშნული პირი სირიაში 2015 წელს გაემგზავრა და ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი დანაყოფის მეთაური იყო. **ც. ტოხოსაშვილი** ახორციელებდა ტერორისტულ აქტივობებს და სირია-ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სირიასა და ერაყში მყოფ ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერ საქართველოს მოქალაქეებსა და მათ ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, შესაბამის საგამოძიებო და ოპერატიულ ღონისძიებებს ახორციელებდა. ტერორისტი მებრძოლების

ოჯახის წევრების მიმართ, რომელთა ქმედებები დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს, სახელმწიფო არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად იმოქმედებს.

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება

საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენდა ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების, სხვადასხვა პერიოდში მათ რიგებში მებრძოლი პირების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, სახელმწიფო საზღვრის სატრანზიტო მიზნით კვეთის მცდელობა.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, რელევანტურ უწყებებთან კოორდინაციით, გრძელდებოდა საქართველოს საზღვრების კონტრტერორისტული სკრინინგი, კვლავ კონტროლდებოდა ქვეყანაში მოსახვედრად გამოსაყენებელი შესაძლო არალეგალური მარშრუტები და ე.წ. დერეფნები.

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის დაფინანსების ან საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ნებისმიერი სახით დახმარების გაწევის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით შესაბამის ოპერატიულ და საგამოძიებო ღონისძიებებს მიმართავდა. მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა ტერორიზმთან შესაძლო დაკავშირებულ ოპერაციებსა და ტრანზაქციებზე მონიტორინგი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, სხვა რელევანტურ უწყებებთან კოორდინირებული ერთობლივი ძალისხმევისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად, 2022 წელს საქართველოდან ტერორიზმის დაფინანსების ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სხვაგვარი დახმარების გაწევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების (NRA) დოკუმენტის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023-2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის (2023-2026 წლების) შემუშავების პროცესში.

აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციების იმპლემენტაციას და მიზნად ისახავს საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

სახელმწიფო ამ მხრივ კვლავ ასრულებდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ნაკისრ შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებს. მათ შორის, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების ეროვნული სიების ფორმირებისა და სიაში შემავალ პირებზე შესაბამისი სანქციების დაწესების მიმართულებით. 2022 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 რეზოლუციის იმპლემენტაციის მიზნით, სანქციების ეროვნულ სიაში ორი პირი იქნა შეყვანილი.

ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კვლავ აქტიურად მუშაობდა ქვეყანაში ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელების გამოვლენისა და აღკვეთის მიმართულებით. აღნიშნულის ფარგლებში, კიბერსივრცეში ტერორისტული იდეოლოგიის პროპაგანდის შესაძლო გავრცელების ფაქტებზე მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობდა. გამოვლენილ საფრთხეებზე ხორციელდებოდა მყისიერი რეაგირება.

2022 წელს აღნიშნული მიმართულებით კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა, რის შედეგადაც საქართველოში მყოფმა რადიკალურად განწყობილმა უცხო ქვეყნის ათობით მოქალაქემ ქვეყნის ტერიტორია დატოვა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება კვლავ ქმნიდა ტერორისტულ რისკებს.

სისხლის სამართლის საქმეები

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ ხუთ დანაშაულზე. ასევე, გრძელდებოდა საგამოძიებო მოქმედებები გასულ წლებში გამოვლენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

სპეციალური ოპერაციების ძალები

კონტრტერორისტული და სხვა განსაკუთრებული სირთულის ოპერაციებისთვის მუდმივი მზადყოფნის მიზნებიდან გამომდინარე, 2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების ამაღლებას. აღნიშნული მიზნით, სამსახურის ტაქტიკური მომზადების

ბაზაზე სისტემატურად მიმდინარეობდა სამსახურის საბრძოლო დანაყოფების წვრთნები და სხვადასხვა ტიპის გეგმური ვარჯიშები. აღნიშნული მოიცავდა როგორც სპეციალური ოპერაციების ძალების ფიზიკურ მომზადებას, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო ღონისძიებებს.

სპეციალური ოპერაციების შესაბამისმა დანაყოფებმა, საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მიზნით, მომზადება-გადამზადება გაიარეს ანტიდივერსიული და კონტრტერორისტული ღონისძიებების, განნაღმვითი სამუშაოების ჩატარების, მასობრივი განადგურების საშუალებების გამოვლენის, ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუვნებელყოფის და სხვა შესაძლებლობების გაზრდის კუთხით. სწავლებები, ასევე, მოიცავდა სნაიპერის, ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟის, პარამედიკოსის, ინსტრუქტორთა მომზადების, საავიაციო უსაფრთხოებისა და სხვა სპეციალურ პროგრამებს.

აღსანიშნავია საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორის ფორმატში გამართული სამეთაურო-საშტაბო სწავლებები, საველე სავარჯიშოები და სიმულაციები. აღნიშნულის მიზანს სამართალდამცავ და ძალოვან უწყებებს შორის კრიზისულ სიტუაციებში ურთიერთკოორდინირებული მოქმედებებისა და ერთობლივი რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება წარმოადგენდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ამ მიმართულებით სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერა და ტაქტიკური სწავლებების დროს მათი გამოცდილების გაზიარება.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტმა რეაგირება მოახდინა 120-მდე შეტყობინებაზე, რის შედეგადაც, ცალკეულ შემთხვევებში, ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალა. ამავე დროს, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ცალკეული და სტრატეგიული ობიექტების პასპორტიზაცია (განახლება), საევაკუაციო მარშრუტებისა და სამობილიზაციო ადგილების მონიტორინგი, ასევე, განახლდა ტოპოგრაფიული რუკები.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და სამოხელეო და კორუფციულ დანაშაულებში ჩართული საჯარო მოხელეების გამოვლენა. ამასთან, პრიორიტეტად რჩებოდა მსგავსი დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით, აქტიური პრევენციული ღონისძიებების გატარება და აღნიშნულით უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა თუ სხვადასხვა დანაშაულებრივი სუბიექტების მიმართ საჯარო მოხელეთა და ცალკეულ პირთა მოწყვლადობის რისკების შემცირება.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ განხორციელდა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებები როგორც ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების სახით, ასევე ანალიტიკური და პრევენციული ღონისძიებების მიმართულებით. შედეგად, საანგარიშო პერიოდში დაკავებულ იქნა და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა არაერთი თანამდებობის პირი და საჯარო მოხელე.

2022 წელს სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 61 საქმეზე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 170 პირი ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის გამო, როგორიცაა ქრთამის აღება (მათ შორის, დიდი ოდენობით, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), ქრთამის მიცემა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი გულგრილობა, დიდი ოდენობით თაღლითობა და თაღლითობაში დახმარება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, უძრავი ქონების უკანონო დაუფლება და სხვა. აღნიშნულ საქმეებს შორის ხაზგასასმელია სამსახურის მიერ გამოვლენილი სახელმწიფო ქონების უკანონო დაუფლების ფაქტები.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ყადაღა დაედო 188 უძრავ და 20 მოძრავ ქონებას. შეფასებული ქონების სავარაუდო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4 008 820 ლარს.

ამავდროულად, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2022 წელს სისხლის სამართლის 7 საქმეზე, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს დაუბრუნდა დანაშაულებრივი გზით მითვისებული 28 659 მ2 მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით, შეადგენდა 360 579 ლარს.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სასამართლოში წარგზავნილი საქმეებიდან არცერთ მათგანზე არ დამდგარა გამამართლებელი განაჩენი, რაც მიუთითებს სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში არსებულ გამოძიების მაღალ სტანდარტებზე.

კორუფციული და სამოხელეო დანაშაულების გამოვლენა-აღკვეთის პარალელურად, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევა კორუფციის პრევენციის ხელშემწყობი ზომების დანერგვისა და გაძლიერების კუთხითაც.

2022 წელს ანტიკორუფციული სააგენტოს შემადგენლობაში შემავალი კორუფციის პრევენციის სამსახური აქტიურ რეჟიმში განაგრძობდა კორუფციულ დანაშაულებზე საზოგადოებისა და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სამსახურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის შედეგად გადამზადებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

წარმომადგენლებისთვის გაიმართა ე.წ. საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის, კახეთის, იმერეთის, აჭარის, გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში. შედეგად, წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით კორუფციისა და სამოხელეო დანაშაულების საკითხებზე გადამზადდა 200-მდე საჯარო მოხელე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კორუფციის პრევენციისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული ეფექტიანი ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ჩართულობა. აღნიშნულზე, მათ შორის, მიუთითებს საანგარიშო პერიოდში შესაძლო კორუფციული დანაშაულების თაობაზე მოქალაქეთა მხრიდან შემოსული შეტყობინებები.

2022 წელს სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ სისხლის სამართლის 61 საქმიდან გამოძიება დაიწყო მამხილებლის მიერ შემოტანილ 21 განცხადებაზე, რაც მოქალაქეთა აქტიურობის უდავოდ მაღალი მაჩვენებელია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტულ მიმართულებად რჩებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. ანტიკორუფციული სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლებმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ორგანიზებულ არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებაში როგორც კვალიფიკაციის ამაღლებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის, ასევე პარტნიორებისთვის საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის გაზიარების მიზნით.

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოს, გაეროსა და აშშ-ის საელჩოს მიერ მხარდაჭერილ პროგრამებში, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა და ღონისძიება. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში შედგა სამსახურის ხელმძღვანელობის მაღალი დონის ვიზიტები ავსტრიაში, ბელგიის სამეფოში, სერბეთის რესპუბლიკასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

კორუფციის აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დროული, ეფექტიანი და პრევენციაზე დამყარებული საქმიანობის შედეგებზე მიუთითებს, ასევე, წამყვანი საერთაშორისო რეიტინგები და შეფასებები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ მომზადებული კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) თანახმად, 2022 წელს საქართველო 180 ქვეყანას შორის 45-ე ადგილიდან 41-ე ადგილზე დაწინაურდა და გაუთანაბრდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იტალია, ჩეხეთი და სლოვენია. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ

ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა პოლონეთი, სლოვაკეთი, საბერძნეთი, ხორვატია, რუმინეთი და სხვა.

ამავე დროს, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ინდექსით საქართველო პირველ ადგილს იკავებს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში და უსწრებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს, მათ შორის, მოლდოვას, უკრაინას, ჩრდილოეთ მაკედონიას, მონტენეგროს და ალბანეთს.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფდა საკანონმდებლო აქტების პროექტების ანტიკორუფციულ ჭრილში შემოწმებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისა და სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს, სახელმწიფო ქონების გასხვისების კანონიერების შეფასებას. მიმდინარეობდა კორუფციისთვის მოწყვლადი ჯგუფებისა და სფეროების იდენტიფიცირება, საჯარო სექტორში შესაძლო კორუფციის რისკების ანალიზი და აღნიშნული რისკების შემცირება-აღმოფხვრისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

სამსახურის სათანადო ფუნქციონირებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სამართლებრივი ბაზის დახვეწასა და შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებას.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 180-ზე მეტი ახალი სამართლებრივი აქტი და კომპეტენციის გათვალისწინებით, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შემუშავებულ 350-მდე სამართლებრივი აქტის პროექტზე.

საიდუმლო ნორმატიული აქტების შემუშავების მიმართულებით, სამსახურმა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ნდობის ჯგუფს პროაქტიულ რეჟიმში გასაცნობად გაუგზავნა სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული შესაბამისი საიდუმლო ნორმატიული აქტები.

საანგარიშო წლის განმავლობაში გრძელდებოდა შიდასამსახურებრივი რეგულაციების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი. მათ შორის, 2022 წელს ერთმანეთისგან გაიმიჯნა სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურებისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებები. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ იზოლატორში მოსათავსებელი/მოთავსებული პირის მიმართ

წამების ან სხვა ძალადობრივი ქმედების შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით, სამსახურის შესაბამისი დანაყოფებისთვის განისაზღვრა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება.

ამას გარდა, შესაბამისი ცვლილებები აისახა სამსახურის სპეციალურ კანონმდებლობაში, მათ შორის ეთიკის კოდექსში, რომლის საფუძველზე მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მოპოვებული მასალები, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, იგზავნება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები და შემუშავდა შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რათა სამსახურის სისტემის შიგნით დაინერგოს უწყების სპეციფიკაზე მორგებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში მოწესრიგდა ცალკეული საორგანიზაციო საკითხები და გამოიცა სამსახურის უფროსის შესაბამისი ბრძანება. ამასთანავე, კომისიური წესით შედგენილი ზოგიერთი ოქმის წარმოების პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისთვის, დაინერგა აღნიშნული ოქმების შედგენის ელექტრონული პროცედურა.

2022 წელს ცვლილებები შევიდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის წესდებაში, რომლის საფუძველზე ცენტრის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის გაიმიჯნა გარკვეული ფუნქციები სამსახურის მოქმედი მოსამსახურეებისა და სამსახურში მისაღები ახალი კანდიდატებისთვის განკუთვნილი სპეციალური პროგრამების შემუშავება-ორგანიზებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკონტროლო დავალებების ფარგლებში, სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდება მთავრობის სამართლებრივი აქტების გარდამავალი რეგულაციებით შესასრულებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

აღსანიშნავია ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტში შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებში სამსახურის აქტიური ჩართულობა. სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები, რომლებშიც სხვადასხვა უწყებასთან ერთად განისაზღვრა სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული აქტივობები.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით.

შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ მიეწოდა საქმეების განხილვისათვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები (საერთო ჯამში, 1200-ზე მეტი

ინფორმაცია/მტკიცებულება). იმავდროულად, საანგარიშო პერიოდში დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 580-ზე მეტი დოკუმენტი.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 40-მდე სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სასამართლო დავის საქმე, საიდანაც 10 დასრულდა სხვადასხვა ინსტანციაში. საქმეთა უმრავლესობაში სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სამსახურის პოზიცია, რაც აისახა შესაბამის გადაწყვეტილებებში.

2022 წელს სამსახურში შემოსული იყო 4 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლებზეც განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება. ამასთან, საანგარიშო პერიოდში მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა პოზიცია 2 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთ საქმეში სამსახურის წარმომადგენელმა უშუალო მონაწილეობა მიიღო.

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ანგარიშვალდებულება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კანონით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადებში თანამშრომლობდა ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანიზაციებთან. საქართველოს პარლამენტის წინაშე კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ფარგლებში, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საკანონმდებლო ორგანოსთან და პროაქტიულ რეჟიმში, ასევე მოთხოვნის შესაბამისად, აწვდიდა უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოხსენებებსა და სხვადასხვა სახის საინფორმაციო ანგარიშს.

სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, ასევე ნდობის ჯგუფის ფარგლებში გამართულ არაერთ სხდომაში. 2022 წელს სამსახურის ხელმძღვანელობასა და ნდობის ჯგუფს შორის გაიმართა 6 შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარედგინათ ინფორმაცია (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია) სამსახურის კომპეტენციით გათვალისწინებულ უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხზე. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა მოახდინა სათანადო რეაგირება საქართველოს პარლამენტიდან გამოგზავნილ 80 შეკითხვაზე (აქედან 36-ზე - ნდობის ჯგუფის ფარგლებში).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის სპეციფიკის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა სახალხო დამცველსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან. 2022 წელს შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ გამოგზავნილ 31 კორესპონდენციაზე და მას კანონმდებლობის შესაბამისად, შეუფერხებლად მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი).

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაგრძობდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე რეალურ დროში დაკვირვებისა და კონტროლის ღონისძიებებს, ასევე, ახორციელებდა არაგეგმურ შემოწმებას. საანგარიშო პერიოდში გაიმართა სამსახურის უფროსის შეხვედრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსთან, სადაც ხაზი გაესვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის მიმართულებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მნიშვნელოვან როლს და უწყებებს შორის არსებულ კოორდინაციის მექანიზმებს.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის ხელმძღვანელობამ, ასევე, შეხვედრა გამართა ახლად შექმნილი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსთან, სადაც მხარეებმა განიხილეს დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის ფუნქციები და ხაზი გაუსვეს ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას.

2022 წელს სამსახური, მის ქვემდებარეობაში შემავალი დანაშაულების გამოძიების წარმოების პროცესში, განაგრძობდა მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, როგორც საგამოძიებო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

ამასთანავე, საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახური აქტიურად იყენებდა შიდა კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს. სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მიმართულებით, 2022 წელს სამსახურის შესაბამისი დანაყოფი უწყვეტ რეჟიმში ახდენდა შიდა მონიტორინგს, ასევე, სახალხო დამცველისთვის შექმნილი იყო ყველა აუცილებელი პირობა იზოლატორის საქმიანობის შესამოწმებლად.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიზიტის დროს შეამოწმეს საკნებში არსებული პირობები და დაკავებულ პირთა საქმეებზე დართული დოკუმენტაცია. ჰქონდათ შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ დაკავებულებს და გასცნობოდნენ იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების სტანდარტებს. შემოწმების შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მხრიდან ადამიანის უფლებებთან მიმართებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში, ხაზგასასმელია საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ასევე, სამსახურის მოსამსახურეთა მიერ შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. მიმდინარეობდა სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ მატერიალურ-ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება, ისევე როგორც სამსახურის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ, სამსახურის სისტემაში ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების შესაძლო დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების და შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენისა და სათანადო რეაგირების მიზნით, განახორციელა 70-მდე სამსახურებრივი შემოწმება. მომზადებული დასკვნების საფუძველზე, 29 თანამშრომლის (მათ შორის, ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფი მოსამსახურეების) მიმართ გატარდა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ, სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 5 მოსამსახურე, თანამდებობიდან ჩამოქვეითდა - 1, სასტიკი საყვედური გამოეცხადა - 11, საყვედური - 6 და შენიშვნა მიეცა 6 თანამშრომელს. ამასთან, სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მიეცა 4 მოსამსახურეს.

2022 წელს სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლის 3 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა 3 პირის მიმართ, რომელთა შორისაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორი ყოფილი თანამშრომელი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო განაგრძობდა ქვეყნის ტერიტორიაზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნათა შესრულებას. აღნიშნულ პროცესში სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკანონმდებლო რეგულაციების დაცვას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

2022 წელს უფლებამოსილმა საგამოძიებო ორგანოებმა სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში, საერთო ჯამში, წარადგინეს მოსამართლის 2300 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედებების, პროკურორის 137 მოტივირებული დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ასევე, საქართველოს

უზენაესი სასამართლოს ზედამხედველი მოსამართლის მიერ გაცემული 33 ბრძანება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობა კონტროლდებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით. ამასთან, სააგენტოს საქმიანობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექვემდებარებოდა პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კონტროლს.

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, 2022 წელს ნდობის ჯგუფისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 13 შემთხვევაში წერილობით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობისა და ცალკეული ღონისძიებების შესახებ. აღნიშნულზე განხორციელდა სათანადო რეაგირება.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფს, პრემიერ-მინისტრსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს წარუდგინა სააგენტოს საქმიანობის წლიური ანგარიში.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, კონტროლის სპეციალური ელექტრონული საშუალებებისა და ინსპექტირების პროცედურების გამოყენებით, განაგრძობდა სააგენტოს საქმიანობის შემოწმებას და კანონმდებლობის შესაბამისად, იყენებდა ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების უფლებამოსილებას.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელა ფარული მიყურადებისა და ფარული ჩაწერის საგამოძიებო მოქმედებების არაგეგმური ინსპექტირება, რომელიც მიმდინარეობდა 2022 წლის 28 ივლისიდან 2022 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

ინსპექტირების განხორციელებისას აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შესულიყვნენ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალში და მიმდინარე რეჟიმში შეემოწმებინათ სააგენტოს საქმიანობა, მისი მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტები (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი) და მიეღოთ ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ.

შემოწმების შედეგად, სააგენტოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. სააგენტოს შესასრულებლად მიეცა სავალდებულო დავალებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ცალკეული ასპექტების გაუმჯობესების მიზნით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საანგარიშო წლის განმავლობაში, კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურის მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა. 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სამსახურში შესული იყო 93 განცხადება (მათ შორის, მოქალაქეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან), რომელთაგან დაკმაყოფილდა - 70, შემდგომი რეაგირებისთვის, კომპეტენციის შესაბამისად, სხვა საჯარო უწყებაში გადაიგზავნა - 9, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 7 განცხადება, ხოლო 7 - არ დაკმაყოფილდა.

აქტიურად იყო გამოყენებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოქმედი ცხელი ხაზი („123“), რაც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევდა სამსახურისთვის მიეწოდებინათ ან გამოეთხოვათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. 2022 წელს აღნიშნული მექანიზმის საშუალებით, უწყებაში შესული იყო 1200-ზე მეტი განაცხადი, რაზეც განხორციელდა სათანადო რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამსახურის ელექტრონული გრაფის საშუალებით (info.ssg.gov.ge) მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება. საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 420-მდე ელექტრონულ განცხადებაზე. ამასთან, სამსახურმა რეაგირება მოახდინა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან მიღებულ 3500-ზე მეტ კორესპონდენციაზე.

სამსახურის ოფიციალური ვებგვერდისა (ssg.gov.ge) და კომუნიკაციის სხვა არხების საშუალებით, საზოგადოებას აქტიურად მიეწოდებოდა ინფორმაცია უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, შესაბამისი დანაყოფი აქტიურად თანამშრომლობდა მედიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებთან. 2022 წელს სამსახურის მიერ გამოქვეყნდა 80-მდე სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის, უსაფრთხოების მიმართულებით საზოგადოებისთვის რეზონანსული მოვლენების თაობაზე, სამსახურმა გაავრცელა არაერთი სპეციალური განცხადება და მოსახლეობას მიაწოდა ობიექტური და ფაქტებზე დამყარებული ინფორმაცია.

2022 წლის 10 დეკემბერს, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს. აღნიშნული ანგარიში, ასევე, გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

საერთაშორისო თანამშრომლობა

2022 წელს რეგიონში შექმნილი ურთულესი ვითარებისა და ახალი გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიულ პარტნიორებსა და მეგობარ სახელმწიფოებთან მჭიდრო კოორდინაციის გაგრძელება, მათთან თანამშრომლობით უსაფრთხოების ცალკეულ მიმართულებებზე სამსახურის შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერება და მტკიცე პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში, უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის გაზიარება.

საერთაშორისო პარტნიორებს სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ პროაქტიულ რეჟიმში მიეწოდებოდათ ინფორმაცია საქართველოსა და მის გარშემო არსებული უსაფრთხოების გარემოსა და რისკების თაობაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრის შექმნილ ვითარებაზე, ჰიბრიდულ საფრთხეებსა და სხვადასხვა მიმართულებით განვითარებულ პროცესებზე. მიმდინარეობდა ინფორმაციის გაცვლა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების შედეგად წარმოშობილ გამოწვევებსა და მათი შესაძლო ზეგავლენის პერსპექტივებზე, როგორც საქართველოსა და რეგიონის, ასევე ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია 2022 წელს გამართული მაღალი დონის შეხვედრები და თანამშრომლობა მოკავშირე ქვეყნების შესაბამისი უწყებების, დიპლომატიური მისიების, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ხელმძღვანელებთან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განაგრძობდა სტრატეგიულ პარტნიორებსა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონკრეტულ მიმართულებებზე მჭიდრო კოორდინაციას და ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობას, მათ შორის, ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის, ჰიბრიდული საფრთხეების, კიბერუსაფრთხოებისა და სხვადასხვა ტრანსნაციონალური დანაშაულების კუთხით. უსაფრთხო და დროული კომუნიკაციის ინსტრუმენტების, მათ შორის, ინტერპოლისა და ევროპოლის არხების, ასევე, საქართველოში აკრედიტებული მეკავშირე ოფიცრების, პოლიციისა და თავდაცვის ატაშეების ქსელის მეშვეობით, საანგარიშო პერიოდში ეფექტიანად მიმდინარეობდა პარტნიორებთან უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხებზე ანალიტიკური და ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

იმავდროულად, აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა ძალისხმევას ნატოსა და ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებების, ასევე, სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმების მიზნით. აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებისა და უსაფრთხო კომუნიკაციების არხების განვითარების თვალსაზრისით, 2022 წელს სამსახურმა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა.

საერთო ჯამში, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ ანალოგიური შეთანხმებები საქართველოს გაფორმებული აქვს 24 პარტნიორ სახელმწიფოსთან (რომელთაგან უმეტესობა ნატოსა და ევროკავშირის წევრია), ნატოსა და ევროკავშირთან, ხოლო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის / სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები გაფორმებულია 29 სახელმწიფოსთან და ევროპოლთან.

ამასთან, 2022 წელს სამსახურის ინიციატივით საქართველო გაწევრდა ევროპოლის კონტრტერორისტული ანალიზის ისეთ პროექტებში, როგორიცაა: „მოგზაურები" (Travellers), „ტერორიზმის დაფინანსების მიდევნების პროგრამა" (TFTP) და „ქსელის შემოწმება" (CTW – Check the Web).

აღნიშნულ პროექტებში გაწევრებასთან ერთად, საქართველო, ასევე, გახდა ევროპოლის ერთობლივი კონტრტერორისტული მეკავშირე ჯგუფის (CT JLT) წევრი ქვეყანა.

გარდა ამისა, 2022 წელს სამსახურის მიერ, კომპეტენციის შესაბამისად, სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით დამუშავდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სხვადასხვა თემატიკის საერთაშორისო შეთანხმების 60-ზე მეტ პროექტზე, მათ შორის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, თავდაცვის, ტრანსპორტისა და საჰაერო უსაფრთხოების, საბაჟო, რეადმისიის, უვიზო მიმოსვლისა და სხვა სფეროებში. აღნიშნულ დოკუმენტებში სათანადოდ აისახა სახელმწიფო მნიშვნელობის უსაფრთხოების საკითხები.

ხაზგასასმელია 2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების შესაბამის უწყებებს შორის მიმდინარე თანამშრომლობა. სამსახურს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს ამერიკის შეერთებული შტატების კოლეგა უწყებებთან, რომლებთანაც საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა. სამსახური აქტიურად იყო ჩართული ერთობლივ ძალისხმევაში საერთაშორისო ტერორიზმსა და რადიკალიზაციასთან, ტერორიზმის დაფინანსებასა და ფულის გათეთრებასთან, მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხეებსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, სასაზღვრო უსაფრთხოების, კიბეროპერაციებსა და სხვა კრიტიკულ ინციდენტებზე რეაგირების მიმართულებებით.

საანგარიშო პერიოდში, ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერით, მათ შორის, გამოძიების ფედერალური ბიუროს, თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსთან თანამშრომლობის საფუძველზე გაიმართა ათეულობით სხვადასხვა ტრენინგპროგრამა, სამეთაურო-საშტაბო და საველე სწავლება. აღნიშნული ღონისძიებების მიზანს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცალკეული დანაყოფების შესაძლებლობების ამაღლება, მრავალუწყებრივ ფორმატში ეროვნული რეაგირების ჩარჩოს გაძლიერება და უწყებებს შორის ერთობლივი ოპერაციების მართვის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

2022 წელს სამსახურისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული იყო უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით სფეროში ევროკავშირსა და მის სააგენტოებთან თანამშრომლობა, მათ შორის, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. სამსახური ჩართული იყო საქართველოში უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (SAFE) პროგრამაში. ამასთან, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად ევროკავშირის ტექნიკური დახმარების, ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროექტის, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) გაცვლითი პროგრამის, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისა (CSDP) და სხვა პროექტების ფარგლებში განხორციელებულ არაერთ ღონისძიებაში.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები, კომპეტენციის შესაბამისად, აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს ევროკავშირში გაწევრების სპეციალური კითხვარებისთვის უსაფრთხოების ცალკეულ მიმართულებებზე ინფორმაციის მომზადებაში, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციისა და სათანადო დოკუმენტების შემუშავების პროცესში. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გამართული მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის შეხვედრაში, ასევე, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებში.

2022 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამსახურის თანამშრომლობა ნატოსთან და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) შესაბამისი ინიციატივების იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობა. სამსახური განისაზღვრა SNGP-ის ახალი ინიციატივის წამყვან განმახორციელებელ უწყებად ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების საკითხებზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახური აქტიურად იყო ჩართული წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების პროცესში.

გარდა ამისა, სამსახურის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში ქვეყნის მდგრადობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის, ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამისა (IPCP) და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის (PFP) ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში და ნატოს სკოლაში გამართულ სასწავლო კურსებში ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოების, ჰიბრიდული საფრთხეების, სტრატეგიული კომუნიკაციების და სხვა საკითხებზე.

მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა სააგენტოსთან, მათ შორის, გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტთან (UNICRI), გაეროს კონტრტერორისტულ ოფისთან (UNOCT), გაეროს კონტრტერორისტულ ცენტრსა (UNCCT) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (UNODC).

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმატებით განაგრძობდა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას, მათ შორის, „დაეშის" წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის ინიციატივაში მონაწილეობას.

2022 წელს სამსახურმა ასევე მონაწილეობა მიიღო აშშ-ისა და გერმანიის მთავრობების ორგანიზებით გამართულ კონტრტერორისტულ სამართალდაცვით ფორუმში (CTLEF).

აღნიშნულის გარდა, სამსახური განაგრძობდა ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) პლენარულ სხდომებსა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში აქტიურ ჩართულობას, ასევე ინტერპოლის ეგიდით სხვადასხვა ტრანსნაციონალური საფრთხეების საკითხებზე გამართულ საერთაშორისო და რეგიონულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას.

მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი და განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ამ მხრივ, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ევროკავშირისა და ნატოს წევრ ცალკეულ ქვეყანასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან შემდგარი თანამშრომლობა, ასევე, მათ მიერ გაწეული დახმარება. საანგარიშო პერიოდში სამსახურის შესაბამისმა დანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს ათეულობით საველე და თეორიულ სწავლებაში, საერთაშორისო და რეგიონულ სემინარსა და თემატურ შეხვედრებში.

2022 წელს, პარტნიორების მხარდაჭერითა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მასპინძლობით, გაიმართა ქბრბ უსაფრთხოების საკთხებთან დაკავშირებული ეროვნული უწყებათაშორისი საველე-პრაქტიკული სწავლება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების 200-მდე წარმომადგენელმა. ქართულმა დანაყოფებმა ექსპერტთა ჯგუფების უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

ამასთან, აღსანიშნავია, საანგარიშო პერიოდში, ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მხარდაჭერით ჩატარებული ფართომასშტაბიანი სწავლება, რომელშიც 10 ქვეყნის დაახლოებით 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, შინაგან საქმეთ სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა მონაწილე ქვეყნებს გაუზიარეს ინფორმაცია სახელმწიფო საზღვარზე ბირთვული და რადიაციული ინციდენტების ეფექტიანად და კოორდინირებულად მართვის საკითხებში.

სამსახური ასევე წარმატებით განაგრძობდა ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივასთან თანამშრომლობას. როგორც აღნიშნული ინიციატივის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სამდივნოს (აერთიანებს 10 ქვეყანას) მასპინძელი მხარე, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი არაერთი პროექტის განხორციელებასა და სხვადასხვა აქტივობაში. ამასთან, გრძელდებოდა თანამშრომლობა გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორის ინსტიტუტთან შავი ზღვის რეგიონში ბირთვული მასალების კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხებზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

საერთაშორისო შეთანხმებებითა და მრავალმხრივი კონვენციებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საკითხებსა და მიმართულებებზე, მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფდა შესაბამისი ანგარიშების მომზადებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიწოდებას.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია

2022 წელს რეგიონში განვითარებული უმძიმესი მოვლენებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისადმი მკვეთრად გაზრდილი საფრთხეების გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა ეროვნულ დონეზე უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინირებული მუშაობის გაძლიერებამ. აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებაზე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან მიმდინარეობდა უწყვეტი და ინტენსიური კოორდინაცია.

სამსახური უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა ღია და ფარული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ოპერატიულ და ანალიტიკურ დამუშავებას და სახელმწიფო უსაფრთხოების კონტექსტში გამოკვეთილი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების შესახებ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების სათანადო ინფორმირებას და საჭირო პრევენციული ღონისძიებების შესახებ მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაზიარებას, მათ შორის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუშაობის ფარგლებში.

აქტიურად და ეფექტიანად იყო გამოყენებული შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურას, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და დაზვერვის სამსახურთან ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები.

უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფო უწყებებში გარკვეული საფრთხეების მიმართ ცნობიერების ამაღლების, არსებული თუ მოსალოდნელი რისკებისა და გამოწვევების პრევენციის, მათზე დროულად რეაგირების, ადრეულ ეტაპზე აღკვეთა-განეიტრალებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა მიზნებისკენ.

საანგარიშო წლის განმავლობაში გაიმართა არაერთი უწყებათაშორისი შეხვედრა და გატარდა ერთობლივი ღონისძიებები. სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა უწყებათშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, კერძოდ, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის კომისიის, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში, ასევე, საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის 2021–2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2023-2027 წლების სტრატეგიის პროექტის შემუშავებასა და სხვა უწყებათაშორის მექანიზმებში.

იმავდროულად, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიების, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილ უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მუშაობაში, ასევე, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022–2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში.

2022 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით, გაიმართა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მეექვსე სხდომა. კომისიის წევრებმა განიხილეს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის 2022-2026 წლების სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიში. ამასთანავე, კომისიამ განიხილა უწყებათაშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობა და იმსჯელა კოორდინაციის გაძლიერების, ასევე, ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის შემდგომი დახვეწის შესახებ.

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერებისა და პრევენციულ ღონისძიებებში მათი ჩართულობის ხელშეწყობისთვის, კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის მხარდაჭერის გაგრძელების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ინიციატივაში უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის წევრ უწყებებთან ერთად, მონაწილეობს რვა თემატური არასამთავრობო ორგანიზაცია.

ამასთან, ხაზგასასმელია 2022 წელს აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში გამართული ორი შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა საქართველოსა და მსოფლიოში ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული ტენდენციები და გამოწვევები, ასევე, ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოსა და კერძო/სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები.

ამავე დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, როგორც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე უწყების ორგანიზებით, საანგარიშო პერიოდში გაიმართა საბჭოს მეექვსე სხდომა. სხდომაზე წევრმა უწყებებმა წარმოადგინეს 2021-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიშები, იმსჯელეს სამომავლო პრიორიტეტებზე, დაგეგმილ აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში უწყებებს შორის კოორდინაციის მნიშვნელობაზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურისთვის, ასევე, პრიორიტეტული იყო სამოქალაქო სექტორთან, სამეცნიერო-აკადემიურ და საექსპერტო წრეებთან კომუნიკაცია და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პროცესში მათი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაზიარება. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფარგლებში შედგა არაერთი თემატური შეხვედრა და ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები. მათ შორის, 2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იყო „რეგიონული სტაბილურობისთვის თბილისის მე-4 საერთაშორისო ფორუმის“ პარტნიორი უწყება, სადაც ადგილობრივ და საერთაშორისო მონაწილეებთან ერთად განხილული იყო ბირთვული უსაფრთხოების მიმართულებით შავი ზღვის რეგიონში შექმნილი ვითარება და ახალი გამოწვევები.

მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისა და მდგრადობისთვის აუცილებელ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა სათანადო ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა. აღნიშნული მიმართულებით 2022 წელს სამსახური განაგრძობდა შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრიორიტეტს წარმოადგენდა მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალიზმით გამორჩეული კადრების მაქსიმალურად შენარჩუნება, მათი მოტივირება და შემდგომ კარიერულ წინსვლაში ხელის შეწყობა.

ამასთან, საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მომავალ კადრებზე ზრუნვა, მოტივირებული, მაღალი ღირებულებებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის მოზიდვა, მათი განვითარება და უსაფრთხოების წარმატებულ მოსამსახურეებად ჩამოყალიბება.

აღნიშნული ამოცანების გათვალისწინებით, 2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი. კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმდინარეობდა პირადი შემადგენლობის წახალისება-მოტივირება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. 2022 წელს სამსახურმა სხვადასხვა ფორმით წაახალისა 340-მდე თანამშრომელი. მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იყვნენ შრომის თანაბარი პირობებით, მაღალი სამუშაო სტანდარტებით და სარგებლობდნენ სათანადო სოციალური პაკეტით. სამსახურში მკაცრად იყო დაცული ეთნიკური, რელიგიური თუ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათი გადამზადება და იმ მიმართულებით განვითარება, რაც შესაძლებელს ხდის პროფესიონალი კადრების უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მხრიდან შექმნილი იყო ყველა აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ მოსამსახურეებს განევითარებინათ პრაქტიკული და პროფესიული

უნარები, გასცნობოდნენ თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს და აემაღლებინათ კვალიფიკაცია, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოსამსახურეთა შერჩევის, შეფასებისა და მომზადება-გადამზადების მიზნით წარმატებით არის დანერგილი სპეციალური პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემა, რომელიც არსებით თანხვედრაშია ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან. ასევე, დანერგილი და აპრობირებულია შეფასებისა და ტესტირების თანამედროვე მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სამსახურში მისაღებ კანდიდატთა კომპეტენციების შესაბამისობის განსაზღვრას კონკრეტული პოზიციით (საშტატო ერთეულით) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით.

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 400-მდე მოსამსახურემ გაიარა სამსახურის სასწავლო ცენტრში დანერგილი გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პირადი შემადგენლობის მომზადება-გადამზადებას სპეციალურ დისციპლინებში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების და ტაქტიკური მომზადების თვალსაზრისით.

ამავე დროს, საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სწავლება თანამშრომელთა უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით. ათეულობით მოსამსახურემ გაიარა ზოგადი და პროფესიული ინგლისური ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსები, რომლებშიც ინტეგრირებული იყო ნატოს STANAG 6001 სტანდარტის შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები.

ხაზგასასმელია ასევე სამსახურის თანამშრომლობა სხვა უწყებების სასწავლო/ტრენინგ ცენტრებთან, სადაც პერიოდულად იგზავნებოდნენ სამსახურის თანამშრომლები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ორგანიზებულ სასწავლო კურსებში მონაწილეობის მისაღებად.

ამავე დროს, 2022 წელს განსაკუთრებით მაღალი იყო სამსახურის მოსამსახურეთა ჩართულობა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გამართულ სასწავლო კურსებსა და გადამზადების პროგრამებში. ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოს და სხვა სტრატეგიული მოკავშირეების მხარდაჭერით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ჩართული იყვნენ სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობებში. მათ შორის, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ანალიტიკური გუნდის შესაძლებლობების ამაღლებას.

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და საუკეთესო საერთაშორისო მიდგომების გაზიარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის კადრების დანაყოფი და სასწავლო ცენტრი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო პარტნიორების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სპეციალურ სასწავლო კურსში,

შეხვედრასა და კონფერენციაში. აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა ასევე მოიცავდა ევროკავშირის, ეუთოს, უსაფრთხოების მართვის ჟენევის ცენტრის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სხვა პარტნიორების მიერ მხარდაჭერილ პროგრამებში მონაწილეობას ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება, ახალი თანამშრომლების მენტორინგი, უსაფრთხოების სექტორში გენდერული პერსპექტივის საკითხები და სხვა.

სასწავლო ცენტრი

2022 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სამსახურის დანაყოფებისათვის სათანადო კადრების მომზადება-გადამზადებაში და უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას. გრძელდებოდა მუშაობა მაღალკვალიფიციური ტრენერებისა და ინსტრუქტორების მოზიდვის მიმართულებით, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტთა წრეებიდან, ასევე სამსახურის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლების საკადრო რესურსიდან.

საანგარიშო პერიოდში სასწავლო ცენტრის ბაზაზე განხორციელდა 12 სპეციალური მომზადების პროგრამა, რომელიც გაიარა სამსახურის ასზე მეტმა მოსამსახურემ. სამსახურში მისაღებ კანდიდატთა შეფასებისა და მათი საბაზო პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, განხორციელდა კანდიდატთა/ახალდანიშნულ თანამშრომელთა მომზადების 13 საორიენტაციო პროგრამა და მასში მონაწილეობა მიიღო ორასამდე მსმენელმა. ამავდროულად, განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა მიმართულებით მომზადდა და განხორციელდა რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელშიც, ჯამში, მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა მოსამსახურემ და პარტნიორი უწყებების თანამშრომელმა.

უსაფრთხოების საკითხებზე ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი განაგრძობდა მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტებისა თუ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას (მათ შორის, სეზონური უსაფრთხოების სკოლები, შემეცნებითი ტურები, საჯარო ლექციები და კონფერენციები).

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივითა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით, გაიმართა „უსაფრთხოების ზაფხულის სკოლა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებიდან შერჩეულმა 18-მა სტუდენტმა. ორკვირიანი ინტენსიური სწავლების ფარგლებში დარგის წამყვანი ქართველი სპეციალისტებისა და საერთაშორისო ექსპერტებისაგან სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე არსებული უსაფრთხოების გამოწვევების, მათი პრევენციის გზებისა და თანმდევი პროცესების შესახებ.

სპეციალურად სტუდენტებისთვის შექმნილი პროგრამა თეორიულ სწავლებასთან ერთად, დატვირთული იყო პრაქტიკული აქტივობებითა და სიმულაციური სავარჯიშოებით.

2022 წელს, ასევე, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის საქმიანობა სხვადასხვა პარტნიორული ურთიერთობების დამყარების, ერთობლივი სასწავლო კურსისა თუ აკადემიური პროგრამის შემუშავება-ინიცირების კუთხით. ამ მხრივ, ხაზგასასმელია საანგარიშო პერიოდში სასწავლო ცენტრსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველზე, ევროკავშირის მხარდაჭერით, შემუშავდა „საერთაშორისო უსაფრთხოების და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა", რომელშიც ჩართულნი იყვნენ უსაფრთხოების სფეროს წამყვანი ექსპერტები. პროგრამაზე ჩარიცხვა 2023 წლიდან დაიწყება და მისი მიზანია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი პროფესიული რესურსის მომზადება, რომელსაც ექნება საფუძვლიანი აკადემიური განათლება ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული (მათ შორის, ტექნოლოგიური საკითხების) ცოდნის თვალსაზრისით.

მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები

სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური მდგრადობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები განაგრძობდნენ სხვადასხვა დანაყოფის სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას. 2022 წლის საბიუჯეტო სახსრებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 342 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 19 526 378 ლარი.

2022 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადდა 141 ტენდერი და ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 132 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, ჯამში, ეკონომიამ შეადგინა 223 154 ლარი.